# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 16 მარტი 2006 №58 (2680) ფასი 50 თეთრი


# ტოპმიოლერი საქართველოში გუნდის უნახავი გახდა



კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, კახა მჟავანაძე, ილია კანდელაკი, ლაშა სალუქვაძე, მალხაზ ასათიანი, ლევან კობიაშვილი, გიორგი ქინქლაძე, გიორგი დემეტრაძე, შოთა არველაძე... დაუმატეთ ამ ათეულს მეკარე და საქართველოს ეროვნული ნაკრების თითქმის ოპტიმალურ სასტარტო შემადგენლობას მიიღებთ. არადა, ეს იმ ფეხბურთელთა ჩამონათვალია, რომლებსაც კლაუს ტოპმიოლერი ალბანეთში ვერ დაიხმარს. გაითვალისწინეთ ისიც, რომ უახლოეს დღეებში ჩამონათვალს რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ დაემატება, თუმცა რა გაეწყობა?! 22 მარტი ფიფას სანაკრებო კალენდარში არ არის მოხსენიებული, ჩვენი ლეგიონერების კლუბების კეთილი ნების იმედად დარჩენილ ტოპმიოლერს კი გამოძახებული ორი დუჟინიდან ნახევარი მაინც თუ მოუგროვდა, ესეც საქმე იქნება. ანალოგიურ პრობლემებს გადააწყდება ალბათ რალფ მინგეც, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების საალბანეთო შემადგენლობის შერჩევითაა დაკავებული. ჩვენი ინფორმაციით, ლეგიონერები მის სიაშიც მოხვდნენ.

ვის დაიმატებს ეროვნულ ჩემპიონატში მობურთალთაგან კლაუს ტოპმიოლერი? როგორია რალფ მინგეს რჩეულთა სია? საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი გუშინ გვიანობამდე ბჭობდა ამ საკითხზე, ორივე ნაკრების შემადგენლობა კი დღეს საღამოს გახდება ცნობილი. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ამჯერად უძლურია, ოფიციალურად მოსთხოვოს უცხოურ კლუბებს ფეხბურთელთა გათავისუფლება, თუმცა მიიჩნევს, რომ ხშირ შემთხვევაში თავად ფეხბურთელებსაც მართებთ პრინციპული პოზიციის დაკავება — მენაკრების სტატუსი ხომ საბოლოო ჯამში მათი წარმატებული საკლუბო კარიერის საწინდარია. პატრიოტიზმსა და ეროვნული ნაკრების ერთგულებაში „სახელმწიფო გამოცდას" ნაკრების წევრები და კანდიდატები მაისის ბოლოსთვის ავსტრია-გერმანიაში დაგეგმილი ათდღიანი შეკრებისას ჩააბარებენ: კლუბებიდან თავისუფალ ფეხბურთელებს თავის გასამართლებელი არგუმენტი გამოეცლებათ და მისთვის, ვინც შეკრებაზე არ გამოცხადდება, სამუდამოდ დაეხურება ტოპმიოლერის ნაკრების კარი.

# დავითაშვილმა გოლი გაიტანა, სულიკოსავით საძებარი



დინამო — ამერი 1:2. ბურთი თითქოს სადღაც, ზემოთ აფრინდა, „დინამოს" კარში კი ჩაეშვა. ასეთი იყო ამერელი სულიკო დავითაშვილის (№7) მართლაც უიშვიათესი გოლი

სულზე ჩამოუსწრო კლაუს ტოპმიოლერმა „დინამო" — „ამერს". მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ლოჟაში მოკალათებული საქართველოს ნაკრების დამრიგებელი ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე გვარიანი ფეხბურთის თვითმხილველი გახდა. სატურნირო ინტრიგა, მაღალი ტემპი, შემტევი ფეხბურთი და ინტრიგის შესაფერისი სიუჟეტი, ეს ყველაფერი კი ზედ საფინალო სასტვენის წინ სულიკო დავითაშვილის ჯადოგოლმა დააგვირგვინა. „ამერმა" დინამოელთა საჩემპიონო ამბიციებს დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა, პერ კლასუმა კი, ვინაც შეხვედრას ეროვნული ნაკრებისთვის ფეხბურთელთა შერჩევის მიზნით ესტუმრა, სტადიონი უკომენტაროდ დატოვა, სათქმელს ხვალინდელ პრესკონფერენციაზე მოგახსენებთო. ტურის სხვა შვიდ შეხვედრაში კი გასაოცარი არც არაფერი მომხდარა: გამტანმა გაიტანა, მომგებმა მოიგო და ცხრილის ზედა ნაწილშიც მდგომარეობა უცვლელი დარჩა...

# მისტერ ჩელსკიმ ხელახლა დაიწყო: კალაძე!



**შარშან** ზაფხულს კახა კალაძე ძალიან ახლოს იყო „ჩელსიში“ გადასვლასთან, მაგრამ მოლაპარაკება ბოლო მომენტში ჩაიშალა და საქართველოს ნაკრების კაპიტანმაც „მილანთან“ ახალ კონტრაქტს (2010 წლამდე) მოაწერა ხელი.

... მაგრამ „ჩელსი“ და რომან აბრამოვიჩი ხელახლა ცდილობენ კალაძის ხელში ჩაგდებას. „მისტერ ჩელსკი“ აცხადებს, ბოლოხანს კალაძის თამაში ყველა მოლოდინს აჭარბებს, ყველაფერს ვეცდები და მას „სტემფორდ ბრიჯზე“ გადმოვიყვანო. „ჩელსის“ ბარსელონელი რაფაელ მარკესის შეძენაც სურდა. ერთი კვირის წინ სერიოზული საუბრებიც იყო ამაზე, თუმცა კატალონიელებმა უარი თქვეს. მარკესი და კალაძე კი თითქმის ერთი ამპლუის ფეხბურთელები არიან.

ისე კი, საეჭვოა, კახამ „მილანი“ „ჩელსიში“ გაცვალოს — მით უმეტეს, ბრწყინვალე ფორმაშია და...

**ილია ნანობაშვილი**

# ტოპმიოლერმა პაჭელოს დაუძახა
## აშვეთიას ტაიმიანი რუბინული



**როგორც** იცით, 22 მარტი ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი დღე არაა, ამიტომაც ბევრი კლუბი ფეხბურთელთა ნაკრებში გაშვებას უარობს. შესაბამისად, საქართველოს ნაკრებს 22 მარტს ალბანეთთან ტირანული მატჩისთვის ბლომად ლეგიონერი დააკლდება.

ცხადია, შემცვლელების ძებნა დაიწყო და ერთი მათგანი უკვე ვიცით: ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, რომელსაც მოსკოვის „ლოკომოტივში“ გოლი გოლზე გააქვს.

გადაწყდა, რომ ყაზანის „რუბინიდან“ მხოლოდ ნუკრი რევიშვილი ჩამოვა სანაკრებოდ და აქვე ვთქვათ, რომ სათათრეთის გუნდში აშვეთიას რუბინული დებიუტი შედგა — „ურალთან“ 1:0 მოგებულ ტესტ-მატჩში მიხო მეორე ტაიმიდან შევიდა შეცვლაზე, ნუკრი რევიშვილმა 90 წუთი ითამაშა. ლაშა სალუქვაძე და გიორგი ქინქლაძე კი მინდორზე არ გამოჩენილან.

**ილია ნანობაშვილი**

# ტოპის პირველი ფიფა და კოკა
## საქართველო 104 ადგილზეა

ფიფა-კოკა-კოლას ახალ, მარტის რეიტინგში საქართველოს ნაკრებმა ერთი საფეხურით წაიწია და ახლა 104-ე ადგილზეა. ამგვარად, კლაუს ტოპმიოლერის სადებიუტო მალტის ტურნირმა ნაკრებს ერთი ნაბიჯით ზემოთ ასვლის შესაძლებლობა მისცა.

ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის მოტოქეებიდან კი საქართველოზე ქვემოთ ოდენ ფარერებია — 321 ქულით 135-ე ადგილზე. 96-ეზეა ლიტვა, ხოლო შოტლანდიელებმა და უკრაინელებმა თებერვლის მაჩვენებული თითო საფეხურით გაიუარესეს და ახლა, შესაბამისად, 62-ე და 42-ე ადგილებზე არიან.

იტალია და საფრანგეთი კი ოცეულში ნებივრობენ — „სკუადრა აძურამ“ მეთორმეტე ადგილი შეინარჩუნა, ფრანგები კი სამი საფეხურით დაქვეითდნენ და მერვეზე არიან.

რეიტინგს, რა თქმა უნდა, ბრაზილია ლიდერობს, რომელსაც საკმაოდ ჩამორჩებიან უახლოესი მდევრები, ჩეხეთი და ჰოლანდია.

**კახა ზალამბერიძე**

FIFA WORLD RANKING Coca-Cola

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 835 |
| 2 | 2 | ჩეხეთი | 789 |
| 3 | 3 | ჰოლანდია | 788 |
| 4 | 4 | არგენტინა | 765 |
| 5 | 6 | აშშ | 764 |
| 6 | 6 | ესპანეთი | 763 |
| 7 | 6 | მექსიკა | 762 |
| 8 | 5 | საფრანგეთი | 760 |
| 9 | 9 | ინგლისი | 756 |
| 10 | 10 | პორტუგალია | 755 |
| 11 | 11 | თურქეთი | 743 |
| 12 | 12 | ნიგერია | 738 |
| | 12 | იტალია | 738 |
| 14 | 14 | დანია | 736 |
| 15 | 16 | კამერუნი | 726 |
| 16 | 15 | შვედეთი | 725 |
| 17 | 17 | ეგვიპტე | 714 |
| 18 | 18 | იაპონია | 712 |
| 19 | 22 | ირანი | 705 |
| | 23 | ხორვატია | 705 |
| 42 | 41 | უკრაინა | 624 |
| 62 | 61 | შოტლანდია | 567 |
| 96 | 100 | ლიტვა | 478 |
| 104 | 105 | საქართველო | 459 |
| 135 | 132 | ფარერები | 321 |

I გრაფა – ადგილი;
II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა;
IV – ქულა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა — მეორე წრე 19 ტური

გორი. 15 მარტი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 300 (ტევადობა 8 230)

## დილა 0:0 ლოკომოტივი

| დილა | ლოკომოტივი |
|---|---|
| დილა: ი. ილურიძე, გვარუციძე, დ. მაისურაძე, გალოგრე, საყვარელიძე (მახურაშვილი 71), ლავრელაშვილი, ტლაშაძე, ვაჩეიშვილი, შატაკიშვილი, ჯობაძე (დ. თურმანიძე 76), ოლგეხაშვილი (ტორონჯაძე 33). სათადარიგონი: გეგეშიძე, დ. ნადირაძე, ბოკუჩავა, კურტანიძე. მწვრთნელი: ლავრენტი ბოლოთაშვილი | ლოკომოტივი: ზუხბაია, მიხაილიდი, ებრალიძე, ოგბაიძე, კახელიშვილი, გულორდავა, ავალიანი, ფურთუხია (ჩივაძე 25), მ. ღლენტი, ალავერდაშვილი (ხორგუაშვილი 79), პეტროსიანი. სათადარიგონი: ჩალაძე, თუთბერიძე, მენაბდე, ბახტაძე, გ. დ. ყიფიანი. მწვრთნელი: ხოსო ხირაძე |

გაფრთხილება: ლავრელაშვილი, (29), მიხაილიდი (41), ობგაიძე (48), ღლენტი (60), ტლაშაძე (70), პეტროსიანი (80)

მსაჯები: ვ. ელიზბარაშვილი; ნ. რუხიშვილი, ზ. ერქვანია; მ. ბეუქლიშვილი

დამკვირვებელი: ე. სილაგავა

# აბა, რა ვთქვა, რა დავწერო?!

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**ძნელია,** რამე თქვა მატჩზე, რომელშიც თითქმის არ იქმნება სახიფათო (საგოლეზე ლაპარაკიც ზედმეტია) მომენტები, ფეხბურთელები ვერ უგებენ ერთმანეთს, უამრავი ტექნიკური წუნი აქვთ, თითზე ჩამოსათვლელია კარში დარტყმები, თითქმის არ ჩანს არანაირი ტაქტიკური მონახაზი, მოთამაშეთა შეცვლებს ოდნავი გამოცოცხლებაც ვერ შეაქვს თამაშში და ასე შემდეგ...

გორის „დილა“ რომ გასაჭირშია, ყველამ იცის და არც „ლოკომოტივია“ დალხენილი. გუნდებმა 90 წუთი უშელავათო ბრძოლაში გაატარეს, რის გამოც თამაში თითქოს დაძაბული იყო, მაგრამ ძალიან უინტერესოც.

კარის მიმართულებით პირველი დარტყმა მხოლოდ მე-20 წუთზე შესრულდა, როდესაც ქრისტეფორე შატაკიშვილმა დაახლოებით 25 მეტრიდან გაისროლა და ოდნავ ააცილა.

ტაიმის ბოლოს მასვე კიდევ ერთხელ მიეცა შანსი, მაგრამ ამაოდ, დარტყმა კვლავ არაზუსტი იყო.

მეორე ნახევარი ოდნავ უკეთესი გამოდგა, ოღონდ გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი მასპინძლებს 76-ე წუთზე მიეცათ — ტლაშაძემ საჯარიმოში ჩააწოდა ტორონჯაძეს, მაგრამ მას ბურთი გაექცა და სტუმართა მცველებმა სიტუაცია განმუხტეს.

ეს იყო და ეს...

### პრესკონფერენცია

*ხოსო ხირაძე:* თამაში დაძაბული იყო. „დილა“ მეორე ტაიმში დაილალა, მაგრამ გორში თამაში ყოველთვის რთულია. შედეგითაც და თამაშითაც კმაყოფილი ვარ.

*ლავრენტი ბოლოთაშვილი:* ძალიან ბევრი და რთული სამუშაო გვაქვს. აშკარაა, „დილა“ გაძლიერებას საჭიროებს.

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · მეორე წრე · 19 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა · გენერალური სპონსორი

თბილისი. 15 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 400 (ტევადობა 25 600)

## დინამო 1:2 ამერი

0:1 დავითაშვილი (53), 1:1 იაშვილი (80პ), 1:2 დავითაშვილი (88)

| | |
|---|---|
| **დინამო:** გრიშიკაშვილი, ამბროზიო, შაშიაშვილი, გიგაური, აკობია, ლ. ნოზაძე, ლ. ბურდული (ლ. მელქაძე 68), ნავალოვსკი, ბობოხიძე, ჯ. დვალი (გ. მერებაშვილი 77), ს. იაშვილი *სათადარიგონი:* ლორია; ქემოკლიძე, ორბელაძე, ა. კალაძე, ვიეირა **მწვრთნელი:** ანდრეი ჩერნიშოვი | **ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გ. კვახაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, კედელაშვილი, დოლიძე (დ. მჭედლიშვილი 90), დეკანოსიძე (ბოლქვაძე 85), კოშკაძე, სევასტოპულო, ს. დავითაშვილი (ბერიანიძე 90) *სათადარიგონი:* ნაჭყებია; გარუჩავა, სილაგავა, წინამძღვრიშვილი **მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე |

**გაფრთხილება:** დავითნიძე (22), ამბროზიო (45), ბურდული (57), კვახაძე (60), ნავალოვსკი (81)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე; ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიაძე; ლ. მიქელაძე

**დამკვირვებელი:** მ. ქელიძე



გაგა ოქროპირიძის ფოტო

სულიკო დავითაშვილმა (№7) „დინამოს“ პირველი გოლი თავით გაუტანა

# ტოპგოლი ტოპმიოლერის თვალწინ

# აბრეზოლუცია ორი ბექდით

**გიორგი ნოზაძე**

**„აბრეზამ“** მოედნის ცენტრის სიახლოვეს მოიხელთა ბურთი, გიორგი შაშიაშვილთან ჭიდილში მეტოქის საჯარიმოს კუთხემდე იარა და... ასეთი გოლი საქართველოს ჩემპიონატს კი არა, რაგინდარა ბოლოს ლიგის მთავარ შეხვედრას დაამშვენებდა. სულიკო დავითაშვილის ცაციათი დარტყმული ბურთი სოსო გრიშიკაშვილს თავზე გადაევლო, ხარიხას მოხვედრილმა მიმართულება იცვალა და შორეულ კუთხეში აფართხალდა. „მიხეილ მესხის“ ტაბლო კი ამ დროს 88-ე წუთს უჩვენებდა.

საპატიო სტუმართა ლოჟიდან „დინამო“ — „ამერის“ დაპირისპირებას ეროვნული ნაკრების დამრიგებელმა კლაუს ტოპმიოლერმა და მასთან ერთად სრულიად ქართულმა საფეხბურთო ბომონდმა ადევნა თვალი. ეს ის ბედნიერი შემთხვევა იყო, როცა ნამატჩევს გერმანელი მწვრთნელის არ გვრცხვენოდა — ქართული საზომებით შეხვედრამ მოლოდინი აშკარად გაგვიმართლა.

აბა, „ამერს“ ან „დინამოს“ ერთმანეთის დასაზვერი რაღა ჰქონდათ და, შეხვედრა პირველივე წუთიდან საკმაოდ მაღალ ტემპში წარიმართა. ბურთი მოედნის ცენტრში დიდხანს არ ყოვნდებოდა და ორმხრივ შეტევებში სტუმართა უპირატესობა გამოიკვეთა. „ამერი“ გაცილებით მწვავედ უტევდა და ამ შეტევებს კარში დარტყმითაც ასრულებდა, თუმცა პირველი რეალური საგოლე მომენტი „დინამომ“ შექმნა: მე-10 წუთზე ლადო ბურდულის დიდებული პასით კარის წინ ეულად დარჩენილი ჯაბა დვალი ვალდებული იყო, გაეტანა, თუმცა, მეტოქე მცველების დარად, ეტყობა, მასაც თამაშგარე ეგონა და მეტისმეტად უხეიროდ დაარტყა — ბურთი კარს საერთოდ გადააცილა.

„ამერმა“ ხუთიოდე წუთში გაათანაბრა განიავებული საგოლე მომენტების ანგარიში: მოედნის ცენტრიდან დეკანოსიძის გადაცემა სევასტოპულომ გაატარა და დავითაშვილი გრიშიკაშვილს პირისპირ შეჰყარა, თუმცა სტუმართა მეგოლემ პირდაპირ მეკარეს დაუმიზნა ბურთი. კიდევ ორ წუთში გრიშიკაშვილმა ჩიკვილაძის შორეული დარტყმა უკუაგდო, მერე კი კოშკაძის ჯერი დადგა. „ამერის“ ნახევარმცველმა ორჯერ თითქმის დაკარგული ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა, ოთხი მეტოქე ჩამოიტოვა და საჯარიმოს წინა ხაზიდან კარგადაც დაარტყა. სოსო გრიშიკაშვილმა თითები წაატანა ბურთს, რომელმაც ძელიდან რამდენიმე სანტიმეტრში ჩაიფრინა. ტაიმის ბოლოსწინა წუთზე დავითაშვილმა დიაგონალური პასით იდეალურ პოზიციაზე გაიყვანა სევასტოპულო. კარიდან ორ მეტრში მყოფ ფორვარდს ბურთისთვის ფეხის დახვედრებაღა სჭირდებოდა, მაგრამ რატომღაც მისი მოთვინიერება მოინდომა და ამას იმდენი დრო მოანდომა, გრიშიკაშვილს ბურთის დასაუფლებლად რომ ეყო. პირველი 45-წუთეულის ბოლო აკორდი კი მაინც დინამოელებისა იყო: პირისპირ გასულ ბურდულს კარიდან დროულად გამოსულმა ნადირაშვილმა გატანა არ დაანება. ცნობისათვის: ეს იყო თამაშიდან დინამოელთა ერთადერთი ზუსტი დარტყმა კარის ჩარჩოში.

ორივე გუნდის სასახელოდ ვიტყვით, რომ მეორე ტაიმში თამაშის ტემპი უცვლელი დარჩა და თვალსასეირო მატჩი გოლებმა კიდევ უფრო გაალამაზა. 53-ე წუთზე „ამერმა“ მარცხენა ფრთიდან მორიგი კუთხური ჩააწოდა. შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა ხვადაგიანმა ბურთი თავურით შეაბრუნა მეკარის ბაქანში, სადაც ყველას ტანმორჩილმა დავითაშვილმა დაასწრო და თავითვე გადაგზავნა ბურთი კარში — 0:1.

„დინამომ“ მარცხის საფრთხე იგრძნო და შედარებით გააქტიურდა. ამას სტუმრებმაც შეუწყვეს ხელი და დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში გაუმართლებლად დათმეს ინიციატივა. გიორგი ჩიხრაძის შეძახილებმა გაჭრა, თამაში თანდათან ძველ კალაპოტს დაუბრუნდა და ჯერ დოლიძის სახიფათო დარტყმა მოიგერია გრიშიკაშვილმა, მერე კი დავითაშვილმა გადააცილა კარს ბურთი.

... „ამერს“ რომ არ მოეგო, მატჩის მე-80 წუთზე მომხდარს ალბათ გაცილებით მეტი ყურადღება დაეთმობოდა: ლადო ნადირაშვილმა შეცვლაზე შესულ გიორგი მერებაშვილს ბურთთან აშკარად მიასწრო, ნახტომში დაეუფლა კიდეც, მაგრამ მოულოდნელად ხელიდან გაუვარდა. სტუმართა მეკარემ განმეორებით ნახტომში სცადა ბურთის დაუფლება და მერებაშვილს შეეჯახა. ავთანდილ ორდინიძემ თერთმეტმეტრიანი დანიშნა და, როგორც ნამატჩევს ამერელებმა აღიარეს, სამართლიანადაც. 11-მეტრიანი სანდრო იაშვილმა გოლად აქცია, საფინალო სასტვენამდე კი ათიოდე წუთიღა იყო დარჩენილი. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, არც ერთი გუნდი აღარ რისკავს და „მიხეილ მესხზე“ შეკრებილ პუბლიკასთან ერთად, ალბათ, ფეხბურთელებიც შეურიგდნენ ბედს. ყველა, გარდა ერთისა, თუმცა 88-ე წუთზე მომხდარის შესახებ თავშივე გიამბეთ.

ამ წაგებით „დინამომ“ პირველადგილოსან „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩამორჩენა ცხრა ქულამდე გაზარდა. ჩემპიონობის შენარჩუნებას კითხვის ნიშანი დაესვა, არადა, ნებისმიერი სხვა შედეგი ანდრეი ჩერნიშოვის მისიის წარუმატებლობად შეფასდება. გუშინდელ შეხვედრაში „დინამო“ ოდნავ დამძიმებული გვეჩვენა და რგოლებს შორის შეთამაშების ხარისხიც ვერ იყო ჩემპიონის საკადრისი. რაოდენ პარადოქსულიც უნდა გვეჩვენოს, ყველაზე მეტ ხიფათს მეტოქეს ახალწვეულთა წყვილი, ბურდული-ამბროზიო უქმნიდა, თუმცა მხოლოდ პირველ ტაიმში. მერე კი ორივეს დაღლა დაეტყო. რაც შეეხება „ამერს“, ფასეული სამი ქულის გარდა გუნდმა გუშინ არანაკლებ საჭირო თავდაჯერება მოიპოვა. ამარცხებ „დინამოს“? გამოდის, რომ სხვა ნებისმიერი მეტოქის ძლევაც სავსებით რეალურია. რაც მთავარია, გიორგი ჩიხრაძის გუნდმა წარმატებას მკაცრი სათამაშო დისციპლინისა და ბოლომდე ბრძოლის წყალობით მიაღწია. ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე გამარჯვებულთა მწვრთნელმა სწორედ ამ ფაქტორებს გაუსვა ხაზი.

## პრესკონფერენცია



გაგა ოქროპირიძის ფოტო




*გიორგი ჩიხრაძე:* მადლობას ვუხდი ბიჭებს თავდადებული თამაშისთვის. მათ ბოლომდე შეასრულეს დავალება. წუნი, რა თქმა უნდა, იყო, თუმცა ვფიქრობ, რომ ორმხრივად შემტევმა თამაშმა მაყურებელს სიამოვნება მიანიჭა. რომელ ამერელს გავუწევდი რეკომენდაციას კლაუს ტოპმიოლერთან? კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებ, თუმცა ვთვლი, რომ ჩვენი გუნდის რამდენიმე წევრი აშკარად იმსახურებს ასეთ შანსს.

*ანდრეი ჩერნიშოვი:* კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საგოლე მომენტების რეალიზაციაში მოვიკოჭლებთ. საბოლოო ჯამში საკმაოდ დაძაბული და საინტერესო თამაში გამოვიდა, დამარცხებული გუნდის მწვრთნელისთვის კი ნაკრების კანდიდატებზე საუბარი ძნელია. დღევანდელი თამაშის მიხედვით ვერც ერთ დინამოელს ვერ გავუწევდი რეკომენდაციას

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ჯეოსელი — გენერალური სპონსორი

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 19 ტური

# ორივენიცა...

## ნულები თამაშში და ნულები ოქმში

**ილია ნანობაშვილი**

**რით** დავიწყოთ? მე თქვენ გეტყვით, ძალიან ბევრია სათქმელი... უკვე დავიღალეთ გუნდების დაბალ დონეზე ლაპარაკით. იმ ასამდე გულშემატკივარს, სტადიონზე რომ მიდის, ფეხბურთის ყურება უნდა, მაგრამ უაზროდ ბურთის მოგერიება და უაზრო პასები ეჩხირება თვალში. თან როგორ გინდა, გაამტყუნო ფეხბურთელები — რა პირობებიც აქვთ, ისე თამაშობენ.

„ორივე ერთნაირ პირობებში ვართ, ორივე სპონსორს ვეძებთ და, იმედია, ჩემპიონატის ბოლომდე გამოვნახავთ კიდეც. ორივე თანაბარი დონის გუნდები ვართ, ჰოდა, თამაშიც და ანგარიშიც თანაბარი გამოვიდა" — ნამატჩევს ორივე გუნდის თავკაცებმა, გოჩა ჟორჟოლიანმა და ჯუმბერ აბაშიძემ სწორედ ეს თქვეს.

„სოხუმს" დისკვალიფიცირებული თემურ გადელია და ყაზახეთში გასინჯვაზე მყოფი ზვიად ჯელაძე აკლდა. „სპარტაკმა" კი ასევე დასჯილი გელა ხუბუა და ტრავმირებული თორნიკე ელიზბარაშვილი მოისაკლისა.

სპარტაკელთა თავკაცმა აღნიშნა, ბიჭებს რაც შეეძლოთ, მინდორზე ყველაფერი დადესო. ალბათ, მართალიცაა: ყოველ შემთხვევაში, უკეთესი „სპარტაკი" მეორე წრეში არ გვინახავს. მეტწილად სწორედ აბაშიძის შეგირდები უტევდნენ, ამას ძალიან ნელა და ქაოსურად კი აკეთებდნენ, მაგრამ მეტოქეს სჯობდნენ.

პირველ წუთებში ჯერ თემურ მჭედლიშვილმა შორიდან, მერე კი დავით მაღლაფერიძემ თავურით ოდნავ ააცილეს. საპასუხოდ „სოხუმმაც" გაჭრილი ვაშლივით ტყუპი მომენტი შექმნა — ორჯერვე ირაკლი სიხარულიძეს დააკლდა სანტიმეტრები გატანამდე.

მატჩის მთავარხიფათი კი 30-ე წუთზე იყო, როცა სოხუმელმა რომეო გოგიტაძემ ბურთს ფეხი ააცილა და სპარტაკელი მიხეილ კოტრიკაძე ავთანდილ ლაბაძეს პირისპირ შეეყარა. კოტრიკაძემ მეკარე კი მოატყუა, მაგრამ ოღროჩოღრო მინდორზე ბურთი აუხტა, წამები დაკარგა და სოხუმელებმა მოასწრეს ბურთის აუტზე გადაგდება.

აი, აქ მორჩა თამაში. მეორე ტაიმში მეტწილად „სპარტაკი" უტევდა, სხვებთან შედარებით მჭედლიშვილი და ირაკლი ჯიბლაძე აქტიურობდნენ, სოხუმელთაგან კი ცენტრალური მცველი გიგა ქვანია უნდა გამოვარჩიოთ — კედელივით იდგა უკანა ხაზში.

ასე გაიყარნენ გუნდები უგემურ 0:0-ზე, რამაც „სოხუმი" უფრო კმაყოფილი უნდა დატოვოს — „სპარტაკს" ერთი ქულით და ერთი საფეხურით უსწრებს.

თბილისი. 15 მარტი. 15 საათი. შევარდენი. 100 (ტევადობა 1 500)

### სოხუმი 0:0 სპარტაკი

**სოხუმი:** ავ. ლაბაძე, მაჩალაძე, ამბიძე, ქვანია, გოგიტაძე (ბართაია 86), ჭყოიძე, ი. ჭანტურია, ხაჩიძე (დონდოლაძე 71), გაგუა, ა. ნოზაძე, სიხარულიძე
*სათადარიგონი:* ჯინჭარაძე; გიორგი ჯელაძე, მამფორია, კახელაშვილი, მოლოდინი
**მწვრთნელი:** გოჩა ჟორჟოლიანი

**სპარტაკი:** ნაფეტვარიძე, ილ. მოდებაძე (თოფურია 60), ტაბიძე, იმნაიშვილი, ტაბუცაძე, მაისაშვილი, თ. მჭედლიშვილი, ჯიბლაძე, მალიჩავა (ურუშაძე 46), კოტრიკაძე, მაღლაფერიძე (ჩანტლაძე (60)
*სათადარიგონი:* ლაძაძე; გაგნიძე, კობალაძე, დანელია
**მწვრთნელი:** ჯუმბერ აბაშიძე

**გაფრთხილება:** დონდოლაძე (81)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი; ზ. ჯვარიძე, ზ. გურგენაძე; ლ. სილაგავა

**დამკვირვებელი:** ი. მჭედლიშვილი



დავით დილმელაშვილის ერთადერთი გოლი

# წუნი და ბრძოლა

## ცალი თვალით და ცალი ყურით მიხეილ მესხზე

**დავით თავართქილაძე**

**ცხრილის** პოლუსთა შეხლა — ბრძოლა და ბევრი ტექნიკური წუნი — ასეთი თამაში გამოვიდა და „ვიტ ჯორჯიამ" პირველ რიგში უკეთესი მომზადების და გამოცდილების წყალობით გაიმარჯვა.

„თბილისს" ამ მატჩისთვის ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავდა და, ზოგადად, ახალი მწვრთნელის ხელში გუნდი პირველ მატჩებს აღმავლობით თამაშობს, მაგრამ აქ სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე — გიორგი დევდარიანმა პოსტი იმიტომ დატოვა, რომ „თბილისში" ფეხბურთელთა წვრთნის და მომზადების სათანადო პირობებს ვერ ხედავდა, ხოლო „თბილისის" ახლანდელი თავკაცი თენგიზ კაცია მისი თანაშემწე იყო.

პირველ ტაიმში მოედანზე ერთი გუნდი ბობოქრობდა, თუმც სახიფათო მომენტების შექმნა „ვიტ ჯორჯიას" უჭირდა და გოლამდე საგოლე შანსი არც ჰქონია.

ვიტელები იგებდნენ თითქმის ყველა ორთაბრძოლას, მაგრამ, როგორც კი „თბილისის" საჯარიმო მოედანს მიუახლოვდებოდნენ, შებოჭილები იყვნენ.

„ვიტ ჯორჯიამ" მაშინ ისარგებლა, „თბილისი" შეტევაში რომ გაერთო — ვიტელებმა მოედნის თავიანთი ნახევრიდან მაღალი ბურთი გაგზავნეს „თბილისის" საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, ბურთი ზაზა სახოკიამ მოიგდო და ქუსლური პასით დავით დილმელაშვილი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, მანაც ვარდნაში აუღებელი დაურტყა რევაზ თევდორაძეს — 0:1.

მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა, ხოლო ტექნიკურმა წუნმა იმატა. იყო წვივსაფართა წკაპანი, ჯაჯგური, მოცელვები, შინაარსიანი ბურთაობა კი არა და არ ჩანდა.

მატჩზე მოსული გულშემატკივარი იმითაც შეიქცევდა ხოლმე თავს, თუ რა ხდებოდა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, სადაც „ვიტ ჯორჯიას" კონკურენტები, „დინამო" და „ამერი" იბრძოდნენ.

ზლაზვნა არც „ოლიმპზე" ყოფილა, სადაც „ვიტ ჯორჯიამ" სასურველ შედეგს მიაღწია — მეჩვიდმეტე ეროვნული მართლაც ეშხში შედის...

თბილისი. 15 მარტი. 15 საათი. ოლიმპი. 600 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 დილმელაშვილი (38)

**თბილისი:** თევდორაძე, ნ. კვასხვაძე, მ. ბარაბაძე (ბარამიძე 72), ხოხონიშვილი, გუშარაშვილი, გ. დარასელია, მიქიაშვილი, ვ. კვარაცხელია (რევაზ ბარაბაძე 24), ქორიძე, ბოჭორიძე, მიმინოშვილი
*სათადარიგონი:* მ. ალავიძე; გ. იაშვილი, ჩაგელიშვილი, ი. ტლენტი, ბერიძე
**მწვრთნელი:** თენგიზ კაცია

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ლომაია, კობიაშვილი (კვალინაძე 70), ა. კვახაძე, გველესიანი, პ. დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, იმედაშვილი, ლუჭაშვილი, გელაშვილი (გ. მელქაძე 76), ზ. სახოკია (ბერიაშვილი 65)
*სათადარიგონი:* მიქაბერიძე; აბშილავა, ჯაფარიძე, ებანოიძე
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** კვახაძე (21), ქორიძე (27), გუშარაშვილი (80), ლომაია (80)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; ზ. ხუციშვილი, ბ. ჭიჭინაძე; ო. ხეცაძე

**დამკვირვებელი:** ნ. კაკულია



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 19 ტური



ცხინვალელთა რბევა გიორგი იმედაძემ (№7) დაიწყო

# ცხინვალელებმა ნიავის გეგმა შეასრულეს

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

თემურ მახარაძემ ზურაბ იონანიძე და გიორგი განუგრავა დაასვენა — „ზესტაფონს" ხომ სამ დღეში თბილისის „დინამოსთან" თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი ელის.

გადახალისებულმა „ზესტაფონმა" თავიდანვე მოგუდა მეტოქე. პირველივე წუთზე გოგი ფიფიამ ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა გიორგი იმედაძე და მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა — 1:0.

მეორე გოლიც მალევე იყო. მე-8 წუთზე საჯარიმოში შეჭრილმა გიორგი ჭელიძემ კარგადაც ჩააწოდა, დასწრებაზე კი ყველას ფიფიამ აჯობა — 2:0.

მალევე იმედაძემ ზედიზედ ორჯერ დასცხო თავური, თუმცა უშედეგოდ.

ცხინვალელები ნელ-ნელა მოეგნენ გონს. ჯერ საბა სულთანიშვილს შეეძლო გატანა, შემდეგ კი კობა ხანიშვილმა ვერ ივარგა ორჯერ.

55-ე წუთზე ფიფიამ მეორეც გაიტანა. მას ასისტენტობა ამჯერად იმედაძემ გაუწია.

ამას მიხეილ თაყაძის ჩაწოდება მოჰყვა, დავით დათვაძემ შეუჩერებლად დაარტყა — ბურთი მასპინძელთა კარს ასცდა.

ცოტაც და, იმავ დათვაძეს და ხანიშვილს საკმაოდ ძნელი ბურთები აუღო გიორგი ჭანტურიამ.

ცხინვალელთაგან საუკეთესო დათვაძემ თავისი მაინც გაიტანა: ზესტაფონელთა მეკარეს ბურთი თავზე გადაავლო — 3:1.

ბოლოს ბექა ჩიტაიას მომენტიც იყო, მაგრამ მისმა დარტყმულმა ხარიხა შეაზანზარა...

**პრესკონფერენცია**

*ივანე თაყაძე:* ჩვენი ამოცანა უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. ძალიან დასანანი ბურთები გავუშვით, საერთოდ კი, დღეს რა მომენტებიც გავანიავეთ, მთელ სეზონს ეყოფოდა.

*თემურ მახარაძე:* „დინამოსთან" თამაშზე ვართ გადართულნი და ამიტომ მივეცი რამდენიმე ფეხბურთელს დასვენების საშუალება.

მეტოქისგან გამოვარჩევ დავით დათვაძეს. ეს შეხვედრა მის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.



გოგი ფიფია დუბლით და საგოლე პასით გამოირჩა

ზესტაფონი. 15 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 5 000 (ტევადობა 10 000)

## ზესტაფონი 3:1 ცხინვალი

1:0 იმედაძე (1), 2:0, 3:0 ფიფია (8, 55), 3:1 დათვაძე (60)

| ზესტაფონი | ცხინვალი |
|---|---|
| ზესტაფონი: გ. ჭანტურია, გ. თურმანიძე, ძამსაშვილი, შ. ლონლაძე, ხიდეშელი, ნუდნი (ბენაშვილი 73), ბჟალავა, ფიფია (იონანიძე 77), იმედაძე (ძარია 79), გ. ჭელიძე, ბ. ნოზაძე; სათადარიგონი: რ. კვასხვაძე; განუგრავა, ხუმარაშვილი, გელაჭეიშვილი; მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ცხინვალი: შენგელია, გ. ჩიტაია (მძინარიშვილი 80), ქარქუზაშვილი, გ. ლომიძე, ფერსაევი (ხოხობაშვილი 27), მ. თაყაძე (ზ. დვალი 89), კ. ხანიშვილი, ბ. ნოზაძე, ბ. ჩიტაია, დათვაძე, სულთანიშვილი; სათადარიგონი: ქესანაშვილი; მაისურაძე, ხოხობაშვილი, ვ. თაყაძე, ახალკაცი; მწვრთნელი: ივანე თაყაძე |

გაფრთხილება: ბჟალავა (45), ხოხობაშვილი (56)

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ფიფია, ვ. გუმბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი

დამკვირვებელი: ა. ბაჩუკაშვილი

თელავი. 15 მარტი. 15 საათი. გივი ჩოხელი. 2 000 (ტევადობა 8 000)

## კახეთი 1:0 ბორჯომი

1:0 იმერლიშვილი (89)

| კახეთი | ბორჯომი |
|---|---|
| კახეთი: ცინაძე, ტარუღაშვილი, კობაიძე, მაღლაკელიძე, ბედოიძე, როსტიაშვილი, გიორგობიანი, სოსელია (კევლიშვილი 72), არუდაშვილი, დ. ბურდული (ნ. დავითაშვილი 46), ტეტიაშვილი (იმერლიშვილი 46); სათადარიგონი: ჩახუტაშვილი, კუპრაშვილი, კვირკველია, ა. ბურნაძე; მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი | ბორჯომი: მამალაძე, მემარნიშვილი, ს. ბურნაძე, სანიკიძე, დავით ბაქრაძე, მესხი, სებალე (გ. ჩხეტიანი 55), გაბისკირია (ვ. გოჩაშვილი 65), აფციაური, გეწაძე, დე პორასი (შ. ჯიქია 88); სათადარიგონი: მამარდაშვილი; ჯანგიძე, ლ. მერებაშვილი; მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: ბურდული (19)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; გ. ცირდავა, დ. კურტანიძე; ა. კრიჭაშვილი

დამკვირვებელი: ს. კოტრიკაძე

# ჟამიაშვილმა, მსაჯი შეურაცხყოფილმა — 

# ჟამიაშვილმა, მსაჯი შემომელახაო
## დაბნეული პატრული და შერცხვენილი ბორჯომი თელავში

**გიორგი კაციტაძე თელავიდან**

**ძალიან** არასასიამოვნო რამ მოხდა მატჩის შემდეგ: „ბორჯომის" გუნდის წარმომადგენელი, ვინმე ჟამიაშვილი, მატჩის დასრულებისთანავე თავს დაესხა მთავარ მსაჯს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. როდესაც მას ჰკითხეს, რატომ მოიქცა ასე, უპასუხა, შემთხვევით მომივიდაო.

ამ სამარცხვინო ფაქტის მერე ჟამიაშვილის დასჯას ითხოვდა ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელი ამირან კაჭახიძე. მან საქმე გადააბარა იქვე მყოფ პოლიციელებს, რომლებიც მეტად დაბნეულნი ჩანდნენ — მიზანშეწონილად არ ჩათვალეს ბორჯომელის დაპატიმრება და...

თვითონ ბორჯომელებიც მეტად შერცხვენილნი ჩანდნენ თავიანთი მეგობრის უხამსი საქციელის გამო.

ახლა მატჩზეც, რომელიც, ალბათ, დიდხანს არ დაავიწყდება თელაველ გულშემატკივარს — თამაში ძალიან სანახაობრივი გამოდგა.

პირველ ტაიმში ბორჯომელებმა რამდენიმე ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენეს. 34-ე წუთზე არგენტინელი გონსალო დე პორასი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა. ხუთი წუთის შემდეგ მეორე არგენტინელს, დარიო სებალეს შეეძლო თავურით ანგარიშის გახსნა, მაგრამ მეკარე გიორგი ცინაძემ იყოჩაღა.

მარცხენა ფლანგზე ძალიან აქტიური იყო თორნიკე აფციაური, რომელიც ვერავინ გააჩერა. საკმაოდ კარგად გაისარჯა რევაზ გეწაძეც...

ტაიმის ბოლოს კიდევ ერთი ასპროცენტიანი გოლი ვერ შეაგდო დე პორასმა.

ბორჯომელები ბევრს კი ცდილობდნენ, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ და ამაში განსაკუთრებული წვლილი ცინაძეს მიუძღვის.

სრულიად შეიცვალა ვითარება მეორე ტაიმში. თელაველებმა საკუთარ კართან მიაჯაჭვეს მეტოქე და გასაქანი არ მისცეს — „კახეთი" მთლიანად შეიცვალა.

თელაველები დიდი ძალებით უტევდნენ და მაყურებელიც გოლის მოლოდინში გაირინდა.

უწყვეტმა შეტევებმა თამაშის ბოლოს გამოიღო შედეგი — შეცვლაზე შესული იმერლიშვილი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და სტადიონიც აგუგუნდა — 1:0.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს XVII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე 19 ტური



„ბათუმმა" „ტორპედოს" ულაპარაკოდ მოუგო

# ბათუმმა ტიაგოლებს უხშირა

## გაბელია ყოფილ კლუბებს დაერია

ბათუმი. 15 მარტი. 15 საათი. დინამო. 400 (ტევადობა 5 000)

### ბათუმი 2:0 ტორპედო

1:0 ტიაგო (45), 2:0 დვალიშვილი (55)

**ბათუმი:** თოთლაძე, გ. ონიანი, მ. მახვილაძე, მ. ლომიძე, სეთურიძე, ქებაძე, რ. ონიანი, რ. ჯიქია, დვალიშვილი, თ. უგრეხელიძე (ცანავა 90), ტიაგო (ექონია 90)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; გოგიშვილი, კუნჭულია, ფარტენაძე, ნაჭყებია
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ხურცილავა, რატი ბარაბაძე, პარამონოვი, ზ. ჩხეტიანი, ა. ფოფხაძე (ჩილვინაძე 76), დოლონაძე, მ. ლონლაძე, რ. კვერნაძე (ლალაძე 46), დ. ჯანაშია, ძოძუაშვილი (გ. ყიფიანი 46)
*სათადარიგონი:* ქვილითაია, კავთელაძე, ხეცურიანი
**მწვრთნელი:** იური კვერნაძე

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; დ. კვეტენაძე, ლ. თოდრია; ა. ნონიკაშვილი

**დამკვირვებელი:** ტ. ნიშნიანიძე

**გიორგი მურვანიძე ბათუმიდან**

**ქუთათურებთან** მატჩში ფავორიტად, ბუნებრივია, „ბათუმი" ითვლებოდა.

ბათუმელებმაც აქტიურად დაიწყეს და მეტოქის ნახევარზე დასახლდნენ. მე-10 წუთზე ლაშა ქებაძემ 25 მეტრიდან დაარტყა ჯარიმა და ბურთი ძელს მოარტყა.

უსამართლობა იქნება, არ გამოვარჩიოთ მასპინძელთა ბრაზილიელი ლეგიონერი ტიაგო, რომელიც თანაგუნდელებს კარგი გადაცემებით კი ამარაგებდა, მაგრამ ისინი ველარ ყოჩაღობდნენ.

ტაიმის ბოლოს ბათუმელთა შეტევები გამძაფრდა და 45-ე წუთზე საკმაოდ ეფექტური გოლიც გავიდა — გიორგი სეთურიძემ მარჯვენა ფლანგზე ორი მცველი ჩამოიცილა და საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილ ტიაგოს გადააწოდა; ბრაზილიელმაც ბურთს შეუჩერებლივ ამოსცხო და მეკარე უშანსოდ დატოვა — 1:0.

მეორე ტაიმში „ტორპედოში" ორი მოთამაშე შეიცვალა: ავთანდილ ფოფხაძე დავით ჩილვინაძით, მერაბ ძოძუაშვილი კი გიორგი ყიფიანით. თუმცა ეს ცვლილებები „ტორპედოს" ვერაფერში წაადგა.

ბათუმელებმა კი 55-ე წუთზე მეორე გოლი გაიტანეს — ქებაძემ საჯარიმოში თავურით დააგდო ბურთი, იქ კი უმეთვალყურეო ვლადიმერ დვალიშვილს ახლოდან გატანა არ გასჭირვებია — 2:0.

გაბელიას შეგირდებმა არც ტემპი დააგდეს და არც შეტევებს მოუკლეს. სეთურიძემ აკი შორიდანაც დაარტყა და ხარიხას მოარტყა.

ტორპედოელები ძალიან დაბნეულნი იყვნენ, მაგრამ ბათუმელებმა მეტი ველარ ისარგებლეს...



ოთარ გაბელია და იური კვერნაძე

### პრესკონფერენცია

*იური კვერნაძე:* „ბათუმი" კარგი და დაბალანსებული გუნდია. ჩვენ კი ძიების პერიოდი გვიდგას და შედეგს/ახლო მომავალში იხილავს ჩვენი გულშემატკივარი.

*ოთარ გაბელია:* პირველ ტაიმში გაგვიჭირდა. ბოლნისის „სიონთან" თამაშის შემდეგ გუნდი ფსიქოლოგიურად იყო დაღლილი. შედეგით კი კმაყოფილი ვარ.

# ააცილეთ ბათიაშვილს!

## პინგ-პონგში ჩაჭრილი კოლხეთი

ფოთი. 15 მარტი. 15 საათი. ფაზისი. 500 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 0:1 სიონი

0:1 ხუციშვილი (10)

**კოლხეთი:** ლატარია, გ. კილასონია (ზ. ჯანაშია 46), ჯ. შალამბერიძე, ფარულავა, ქობულაძე, დ. ნარსია, კრასოვსკი, მარგალიტაძე, ზ. რაზმაძე, ვართაგავა, წიქარიშვილი (ზ. ქუთათელაძე 46)
*სათადარიგონი:* ხარძეიშვილი; ნაბრია, ყურაშვილი, ლოლუა, ქუტიძე
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**სიონი:** ბათიაშვილი, ლ. ჭელიძე, დ. ხვანიძე (კობაური 46), ჭიჭვეიშვილი, რაქვიაშვილი, გურბიენკო, ბაჯელიძე, კვიტაიშვილი, ა. ალავიძე (ვ. უგრეხელიძე 51), ხუციშვილი, სირბილაძე (ბეგლარ თედორაძე 76)
*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი; ქუცურუა, ტაბატაძე, ოქროპირიძე
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**გაფრთხილება:** გურბიენკო (22), ბაჯელიძე (87)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; პ. დოგრაშვილი

**დამკვირვებელი:** მ. მირცხულავა; **დელეგატი:** ვ. ქორიძე

**გოჩა ჯანაშია ფოთიდან**

**„ბათუმთან"** დაკარგული დასანანი ქულების შემდეგ „სიონი" მეორე ზღვისპირულ კლუბს მოსაგებად დაგეშილი ესტუმრა. ეს მატჩის დასაწყისშივე ცხადი შეიქნა, როცა ლევან ლატარიას უკვე მე-4 წუთზე მოუხდა შორეული ცხრიანიდან მიხეილ ხუციშვილის ჩინებული დარტყმის მოგერიება.

თუმც ხუთიოდ წუთში ისიც უძლური აღმოჩნდა — გიორგი კვიტაიშვილმა კარში დაარტყა, ბურთი გზად კოლხ მცველს მოხვდა და ხუციშვილს მიუვიდა, რომელსაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია — 0:1.

სოსო ფილიამ ერთი თავდამსხმელით თამაში არჩია. ამიტომაც იყო, რომ შესვენებამდე სტუმართა კართან ღირებული არაფერი შექმნილა. ერთხელ იყო, „სიონი" უეჭველ გოლს რომ გადაურჩა ტაიმის მიწურულისკენ, ოღონდ ამაში ბრალი კოლხ მოიერიშეებს ნაკლებად მიუძღვით — კუთხურისას სირბილაძე და ჭიჭვეიშვილი შეცდნენ, ბურთი ვერ აიტანეს და მანუჩარ წიქარიშვილს ჩააბარეს. მცველთა „პინგ-პონგით" დაბნეულმა კოლხმა კი ეს საჩუქარი ვერ შეირგო და მაინცდამაინც ზურაბ ბათიაშვილს დაუმიზნა.

„სიონი" უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ფლანგებზე კვიტაიშვილი და ალავიძე აქტიურობდნენ. ერთხელაც ალავიძემ ცენტრიდან დაწყებული სოლორეიდი მძლავრი დარტყმით დაასრულა და ლატარიამ გაჭირვებით მოახერხა ბურთის კუთხურზე გადაგდება.

შესვენების მერე ფილიამ ჯანაშია-ქუთათელაძის შემტევი დუეტი ჩართო საქმეში. ამან „კოლხეთის" იერიშები კი გაამწვავა, მაგრამ ბოლნისელთა გატეხვა ძნელი საქმე აღმოჩნდა. საკუთარ საჯარიმოში ისინი ძალიან ფრთხილობდნენ, ხოლო ერთი-ორი შორეული დარტყმა ბათიაშვილისთვის იოლი ლუკმა გამოდგა.

კონტრშეტევებზე ჩასაფრებული „სიონს" ყველაფრის დამთავრება 74-ე წუთზე შეეძლო. შეცვლაზე შესულმა ვლადიმერ უგრეხელიძემ მარჯვენა ფლანგზე იაქტიურა და საჯარიმოში ბურთი სირბილაძეს თავზე დაასვა — ირაკლის თავური ხარიხას მოხვდა.

ფილიას შეგირდთა პასუხმაც არ დააყოვნა და საპასუხო იერიში კინაღამ გოლით დასრულდა. ქუთათელაძე-ვართაგავას კომბინაციით კრასოვსკი მეკარესთან მარტო დარჩა, მაგრამ ბურთი ბათიაშვილს ვერ ააცილა.

სიონელი თემურ რაქვიაშვილი კი ახლოდან, ოღონდ მახვილ კუთხიდან ცდილობდა გატანას და ლატარიას ვერ აჯობა.

ბოლო წუთებზე კოლხებმა შტურმისმაგვარი მოიწადინეს, თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა და „სიონმა" მარაგი სამი ქულით გაიმდიდრა, თანაც დისკვალიფიცირებული მთავარი მწვრთნელის, კახა ცხადაძის გარეშე. ცხადაძე ლოჟიდან უცქერდა თამაშს, თუმცა საკუთარი სამწვრთნელო შტაბისთვის მითითებების მიცემა იქიდანაც არ გასჭირვებია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 19 | 15 | 3 | 1 | 39:10 | 48 |
| სიონი | 19 | 14 | 3 | 2 | 37:14 | 45 |
| დინამო | 19 | 12 | 3 | 4 | 32:13 | 39 |
| ამერი | 19 | 12 | 2 | 5 | 26:13 | 38 |
| ზესტაფონი | 19 | 11 | 4 | 4 | 26:15 | 37 |
| ბორჯომი | 19 | 11 | 1 | 7 | 32:17 | 34 |
| ლოკომოტივი | 19 | 10 | 4 | 5 | 29:17 | 34 |
| ბათუმი | 19 | 9 | 5 | 5 | 23:14 | 32 |
| კოლხეთი | 19 | 7 | 3 | 9 | 16:21 | 24 |
| კახეთი | 19 | 7 | 1 | 11 | 19:27 | 22 |
| დილა | 19 | 5 | 3 | 11 | 21:27 | 18 |
| ცხინვალი | 19 | 5 | 3 | 11 | 18:36 | 18 |
| ტორპედო | 19 | 4 | 5 | 10 | 14:26 | 17 |
| სოხუმი | 19 | 3 | 2 | 14 | 17:44 | 11 |
| სპარტაკი | 19 | 2 | 4 | 13 | 4:33 | 10 |
| თბილისი | 19 | 1 | 2 | 16 | 11:37 | 5 |

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა





ადრიანომ პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ „ინტერმა“ სტანკოვიჩის გოლით გაიხარა

# ლიგის ინტერიერი: სამი იტალიური და სხვანი

*ინტერი (იტალია)* 1:0 აიაქსი (ჰოლანდია) (2:2)

1:0 სტანკოვიჩი (57)

*ადრიანომ ვერ გაიტანა პენალტი (27, აацილა)*

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, სამუელი, ვომე, ფიგუ, ვერონი (კ. ძანეტი 74), კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინსი (რეკობა 84)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

აიაქსი: შტეკელენბურგი, ტრაბელსი, მადურო, ვერმაელენი, ხუანფრანი, პიენაარი, ლინდენბერგი, ბუხარი, როსალესი (რ. ბაბელი 72), ჰუნტელაარი, როზენბერგი (ხარისტიასი 74)

მწვრთნელი: დენი ბლინდი

გაფრთხილება: ვერმაელენი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

65 000 მაყურებელი

**ახლა**, „ვილიარეალიც“ დაწყნარდებოდა, ამიერიდან გეგმებს დალაგებით დასახავს. სამშაბათს მისი შემდეგი მოწინააღმდეგის ვინაობა გაირკვა — „სან სიროზე“ „ინტერმა“ „აიაქსს“ 1:0 მოუგო, ორი შეხვედრის ჯამში 3:2 იმარჯვა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის ბოლო წყვილიც შეიკრა: „ინტერი“ — „ვილიარეალი“.

შეხვედრის ერთადერთი გოლი 57-ე წუთზე დეიან სტანკოვიჩმა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში შავ-ლურჯთა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ადრიანომ პენალტი ააცილა ამსტერდამელთა კარს და საერთოდაც, მასპინძლებმა სტუმრებს ყველა ასპექტში აჯობეს. სახიფათო მომენტებიც ძირითადად მასპინძლებმა შექმნეს.

ასე და ამგვარად, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში სამი იტალიური გუნდია, „იუვენტუსი“, „მილანი“ და „ინტერი“.

„ინტერის“ თავკაცი რობერტო მანჩინი: „ვილიარეალთან“ თამაში მრავალმხრივ ჴახიფათოა. თუნდაც ის რად ღირს, წყვილში ფავორიტებად ამთავითვე ჩვენ რომ ვართ მიჩნეული. მახსოვს, მერვედფინალის კენჭისყრის შემდეგ, რამდენიმე წყვილზე ამბობდნენ, რომ მათი გამარჯვებულის ვინაობა წინასწარვე იყო ცნობილი, მაგრამ, აი, მოვიდა მეოთხედფინალი და მაშინდელი ფავორიტები შეჯიბრებაში აღარ არიან“.

დავუბრუნდეთ სამშაბათის თამაშს, რომლის პირველი 30 წუთი იმით იყო საინტერესო, რომ მასპინძლები „აიაქსის“ საჯარიმოს მისადგომებს არ მოცილებიან. პირველი ხიფათი ამსტერდამელთა კართან მეორე წუთზევე შეიქმნა, როდესაც ადრიანოს დარტყმული მცველისგან ლუიშ ფიგუსკენ გადავარდა, მისი დამატებული კი მიზანს ასცდა. მე-12 წუთზე ობაფემი მარტინსმა ძელს გაარტყა ბურთი, 27-ე წუთზე კი ზემოთ პენალტი რომ ვახსენეთ, ის ააცილა ადრიანომ.

ამის შემდეგ „აიაქსი“ ცოტათი მოეგო გონს. მაგალითად, ოლაფ ლინდენბერგისა და მაურო როსალესის დარტყმები ფრანჩესკო ტოლდომ მოიგერია, მაგრამ ტაიმი მაინც „ინტერის“ შეტევით დასრულდა — პატრიკ ვომეს ჩაწოდებულის გოლით დაგვირგვინება ადრიანოს შეეძლო.

შესვენების შემდეგ სურათი არ გამოცვლილა და, ბოლოს და ბოლოს „ინტერს“ შედეგიც მოუვიდა — აიაქსელის პასი ვალტერ სამუელმა ჩაჭრა და ბურთი დეიან სტანკოვიჩს გადააწოდა, რომელმაც ის შორეულ ძელთან ჩაახვია.

ამსტერდამელები ორი გოლის გამტანებს ერთი წამითაც არ გავდნენ და არც გამოდგნენ.

„აიაქსის“ მწვრთნელი დენი ბლინდი: „ორი თამაშის საერთო სურათით თუ ვიმსჯელებთ, უკმაყოფილო ვარ-მეთქი ვერ ვიტყვი. პირველი თამაში, ამსტერდამში ჩინებულად ჩავატარეთ. იქ სამი-ოთხი გოლის გატანაც კი შეგვეძლო. დღეს ერთი ხიფრიანი მომენტი ვერ შევქმენით და ეს უპირველეს ყოვლისა სამუელისა და მარკო მატერაცის ჩინებული თამაშით იყო განპირობებული“.

**პაპუნა კედია**

**მეოთხედფინალი**

**არსენალი** (ინგლისი) — **იუვენტუსი** (იტალია)

**ლიონი** (საფრანგეთი) — **მილანი** (იტალია)

**ბენფიკა** (პორტუგალია) — **ბარსელონა** (ესპანეთი)

**ინტერი** (იტალია) — **ვილიარეალი** (ესპანეთი)

*I მატჩები გაიმართება 28-29 მარტს, საპასუხოები — 4-5 აპრილს*

# ტორესს თოფი შესთავაზეს



ფერნანდო ტორესი

**ლონდონის** „არსენალი“ „ატლეტიკოს“ ვარსკვლავის, ფერნანდო ტორესის ყიდვას ცდილობს. „მეთოფეებს“ „ელ ნინიო“ ტიერი ანრის შემცვლელად უნდათ. ჯადოსანი ფრანგი ხომ „ბარსელონას“ სურს. „არსენალის“ ინტერესთა შესახებ „ატლეტიკოს“ თავკაცებმაც იციან და სწორედ ამიტომ უთხრეს „ტოტენჰემს“ ტორესზე და 30-მილიონზე უარი — „ვისენტე კალდერონი“ „არსენალიდან“ უფრო დიდ შემოთავაზებას ელის.

ლონდონიდან რამდენჯერმე დაგვიკავშირდნენ, თუმცა, ტორესზე რაიმე შეთანხმება არ ყოფილა. ფერნანდო ისევ „ატლეტიკოს“ ფეხბურთელად რჩება — განუცხადეს ესპანურ „მარკას“ „ატლეტიკოს“ წარმომადგენლებმა.

ამგვარად, „ელ ნინიოს“ პრემიერლიგაში გადასვლის საქმე ტიერი ანრის „კამპ ნოუზე“ ჩასვლაზეა დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონა“ ფრანგ ფორვარდში „არსენალს“ 15 მილიონ ევროს სთავაზობს, თუმც „მეთოფეები“ სადღეისოდ 30-ს ითხოვენ.

**ლადო ხომერიკი**



# აბა, ახლაც უჭვრიტინეთ

**დევიდ ბექემმა** და მისმა პოპ მეუღლე ვიქტორიამ ახალი „ფინტი შეასრულეს“ — 146 ათას ევროიან პარკში 730 ათასი გადაიხადეს. რომელ პარკზეა ბატონო ჩემო ლაპარაკი და იმაზე, მათ „ბეკინგემ პალასად“ ცნობილ სახლს, უფრო სწორად კი სასახლეს, რომ ემიჯნება და 12 ჰექტარს შეადგენს. ოდესღაც ის მეფე ჰენრი მე-8-ეს ეკუთვნოდა, ახლა ბექემებისაა.

საინტერესოა, რომ ეს ტერიტორია საქვეყნოდ ცნობილ ცოლ-ქმარს მოთვალთვალეთაგან თავის დასაცავად დასჭირდა. თურმე, ამ პარკში დგას პატარა ქოხები, საიდანაც „ბეკინგემ პალასის“ შიდა ტერიტორია ძალიან კარგად ჩანს და უზღვავი ტურისტებიც სიამოვნებით იჭყიტებიან ბექემიანთ „ბალ-ბოსტანში“. ახლა, უკაცრავად. დევიდმა და ვიქტორიამ ზემოთ ხსენებულ თანხას ზედაც 730 ათასი დაადეს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვიდეოკამერები დაამონტაჟეს.



*იტალიასთან 1:4 მარცხის შემდეგ იურგენ კლინსმანს თითქმის მთელი გერმანია „უტევს“, მწვრთნელი ბუნდესტაგშიც კი დაიბარეს და პასუხი მოსთხოვეს. ფრანც ბეკენბაუერმაც მწარე-მწარეები თქვა კლინსმანზე, ექსცენტრულმა შტეფან ეფენბერგმა კი მწვრთნელის მოხსნა და მის ადგილზე ოტმარ ჰიცფელდის დანიშვნა მოითხოვა. გერმანია მომავალ ოთხშაბათს ამერიკას ამხანაგურად ხვდება და რას ფიქრობს იურგენ კლინსმანი? „კიკერის“ მთავარი რედაქტორი კარლ-ჰაინც ვილდი სწორედ ამის გარკვევას შეეცადა*

# ჰარაკირი ჩაიშალა

## კლინსმანს ჰალსტუხიანი გიჟები არ აღარდებს

**— იტალიურ ფიასკოს რით ახსნით?**

— ძალიან ბევრი ინდივიდუალური შეცდომის გამო წავაგეთ. მეტოქემ ჩემს ფეხბურთელებს ერთი ერთზე აჯობა, თან ორი გოლი მალე გავუშვით და ამანაც იმოქმედა.

**— შეტევაზე აგებული თქვენი ტაქტიკა ძალიან მარტივი და მეტოქისთვის იოლად ამოსაცნობი ხომ არაა?**

— არა. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი მოწინააღმდეგეები ალბათ დაცვიდან ითამაშებენ, რასაც შეტევით უნდა ვუპასუხოთ, თუმც არც ისე გავბრიყვდებით, რომ ჰარაკირი გავიკეთოთ.

**— გაბრაზებულ ფრანც ბეკენბაუერთან ურთიერთობას მოაგვარებთ?**

— დიახ.

**— მას შემდეგ, რაც ბეკენბაუერმა გაგაკრიტიკათ ადგილის დაკარგვის არ გეშინიათ?**

— არა, რადგან გუნდი მობილიზებულია და ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. ცუდია, რომ ვილაც უვიცები და ჰალსტუხიანი კაცები ნაკრების საქმეში ერევიან.

**— „კაიზერ ფრანცს“ თქვენთვის არაერთხელ უთქვამს, გერმანიაში უფრო მეტ ხანს უნდა დარჩე და ამერიკაში ხშირ-ხშირად სიარულს შეეშვაო.**

— ბოლო ხუთი კვირიდან სამი გერმანიაში გავატარე, ამერიკაში ყოფნისას კი კოსტა-რიკა — სამხრეთ კორეის მატჩი ვნახე. კოსტა-რიკა ჩვენს ჯგუფშია და ჩემი წასვლა აუცილებელი იყო. ამის გამო ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ.

**— რამდენად მნიშვნელოვანია აშშ-სთან ამხანაგური მატჩი?**

— ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ნაკრებმა ქომაგთა ნდობა ისევ უნდა დაიბრუნოს.

**— თქვენ დორტმუნდელი კრისტიან ვიორნსი არ გამოიძახეთ და ამერიკელებს სწორედ დორტმუნდში მასპინძლობთ...**

— რაც შეეხება ვიორნსს, მე თვითონაც გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ამ მომენტში ასე იყო საჭირო.

**— საქმისადმი თქვენი დამოკიდებულება ხომ არ შეიცვალა ბოლო თვეებში?**

— არა. თავიდანვე კარგად ვიცოდი, რაოდენ დიდი საქმე ვიტვირთვე. დარწმუნებული ვარ, სწორი გზით მივდივარ და იმასაც ვფიქრობდი, რომ ბევრი წინააღმდეგობა შემხვდებოდა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში დარჩებით ნაკრებში?**

— გამორიცხული არაა.

**— თქვენი სამწვრთნელო მეთოდები ბევრს ეუცნაურება.**

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ემე ჟაკეს ნათქვამს გავიხსენებ: „1996 წელს ევროპის ჩემპიონატზე მეგონა, რომ ყველაფერი სწორად გავაკეთე და კარგი იმიჯის შექმნაზე ვზრუნავდი, თუმც აქედან არაფერი გამოვიდა. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე კი მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობდი, იმიჯი კი გამიფუჭდა, მაგრამ ჩემპიონები გავხდით“.

**— გამოდის, რომ სულაც არ გაღელვებთ რას ფიქრობენ თქვენზე?**

— ჩემთვის სულ ერთი არაა, მაგრამ მთავარია, მივაღწიო მიზანს, რომელიც დავისახე.

# ფრინგსი იუბილეზე ამერიკას მიიღებს

**ბრემენის** „ვერდერის“ ოთხი ფეხბურთელია გერმანიის ნაკრების 23-კაციან სიაში, რომელიც 22 მარტს დორტმუნდში ამერიკას ამხანაგურად ეთამაშება. ოთხეული კი ასეთია: მიროსლავ კლოზე, ტიმ ბოროვსკი, ტორსტენ ფრინგსი და პატრიკ ოვომოიელა.

ფრინგსისთვის ეს საიუბილეო, 50-ე სანაკრებო მატჩი იქნება. 29 წლის ნახევარმცველის დებიუტი 2001-ის 27 თებერვალს პარიზში, ფრანგებთან შეხვედრაში შედგა. 49 მატჩში ბრემენელმა ექვსი გოლი მიითვალა.

იურგენ კლინსმანი ტორსტენ ფრინგსს ალბათ ნახევარდაცვის ფლანგზე ათამაშებს და არა საყრდენის პოზიციაზე, რომელსაც სებასტიან კელი დაიკავებს. 26 წლის კელს 2004 წლის 2 ივნისის შემდეგ ბუნდესნაკრების მაისურა აღარ მოურგია.

ნაკრებში ახალწვეულიცაა — მაინცელი მცველი მანუელ ფრიდრიხი. „მას კარგა ხანს ვაკვირდებოდით და „მაინცის“ მწვრთნელ იურგენ კლოპსაც ვესაუბრეთ. ფრიდრიხი ჩვენს ტაქტიკურ სქემაში კარგად ჩაჯდება“ — განაცხადა კლინსმანმა.

სებასტიან დაისლერი ტრავმის გამო ოთხშაბათის მატჩს გამოტოვებს.

გერმანია ამერიკას 2002-ში, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ამხანაგურად გაეჯიბრა და მაშინ ევროპელებმა 4:2 მოიგეს. შემდეგ, ჩემპიონატზე, მეოთხედფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს და იქაც გერმანიამ იმარჯვა 1:0.



ტორსტენ ფრინგსი

# ჩაწყობილია

## სამპროცენტიანი გერმანია



**აი, სკანდალი** — გერმანელებს ეგონათ, რომ მსაჯ რობერტ ჰოიზერის დასჯით შინაურ ფეხბურთში მექრთამეობა მოსპეს, მაგრამ ასე არ ყოფილა. სპორტულმა გაზეთმა „პლუს-მინუსმა“ ახალი ბომბიააფეთქა. გაზეთის ცნობით გარიგებულ მატჩებში ბუნდესნაკრების ფეხბურთელებიც არიან გარეულნი. შეგახსენებთ, რომ ჰოიზერი შარშან ნოემბერში საპყრობილეში მოწყვიტეს, რაკი ხორვატულ მაფიასთან სიამტკბილობაში ამხილეს, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში მატჩებს აწყობდა.

ფრანც ბეკენბაუერმა თქვა: „გერმანიის ნაკრების ფეხბურთელების ჯამაგირი საკმაოდ მსუყეა და არა მგონია, ისინი ასეთი შავ-ბნელი საქმეებით მოპოვებულ ფულს დახარბდნენ. ის კი ცხადია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სამი თვით ადრე მსგავსი ამბის მოსმენა არასასიამოვნოა და გერმანიას ტალახში სვრის.“

მიუნხენის სასამართლოს პროკურორმა კი განაცხადა, საქმეს ვიძიებთ და ჯერ-ჯერობით ფეხბურთელების სახელებს ვერ გავთქვამთო.

ასე და ამგვარად, გერმანულ ფეხბურთს თავზესაყრელი პრობლემები აქვს. ამასობაში, გერმანიაში გამოკითხვა ჩაატარეს რომელსაც უნდა გაერკვია თუ რამდენს სჯერა ბუნდესნაკრების ჩემპიონობისა. 1 000 გამოკითხულიდან მხოლოდ სამმა პროცენტმა თქვა, ჩემპიონები გავხდებითო, ჩვიდმეტმა კი განაცხადა ჯგუფიდანაც ვერ გავალთო.




# სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: “წიგნის სახლი” (გამსახურდიას 31);“სამშობლო” (ყაზბეგის 4); “ლიბრა” (კერესელიძის 12, “მეგალაინი”); “სანტა ესპერანსა” (სანქტ-პეტერბურგის 12); “მერანი” (რუსთაველის 42); “აისი” (ალმაშენებლის 89); “საუნჯე” (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

# ნამსხვრევები სახელოსნოში

## მესი ახალი მარადონა, ბრუნო ახალი მესი



ბრუნო ბიანკუჩი

„ბარსელონას" არგენტინელი ვარსკვლავის, ლეო მესის მშობლიურ როსარიოში ახალი საფეხბურთო საოცრება გამოჩნდა.

— როსარიოელები ამტკიცებენ, რომ 9 წლის ბრუნო ბიანკუჩი, ლეო მესის ნათესავი, ვარსკვლავის ნიჭს უკვე ახლა ამჟღავნებს და სამომავლოდ თავის ბარსელ ბიძაშვილსაც ტოლს არ დაუდებს. „იგი ზუსტად ლეოსნაირად თამაშობს, თუმცა მესი და ბრუნო ერთი ასაკის რომ იყვნენ, აშკარად ბიანკუჩი აჯობებდა" — აცხადებს რობერტო რამირესი, როსარიოს კლუბ „რენატო სეზარინის" ბავშვთა გუნდის დამრიგებელი. სენიორ რამირესი ის კაცია, რომელმაც ციცქნა ბრუნოს ხალასი ნიჭი აღმოაჩინა.

ბრუნო ბიანკუჩი 1996 წლის 23 ნოემბერს დაიბადა. დღეს მესის პატარა ნათესავი სწორედ იმ ქუჩაზე ჯადოქრობს ბურთთან ერთად, სადაც თავის დროზე „კამპ ნოუს" მოიერიშე თანატოლებთან ერთად ანცობდა. „ლეო ფენომენი იყო, თუმც ბრუნოს ეტყობა, რომ მესიზე უკეთესი იქნება. ბიჭუნა უფრო მარჯვეა და დღითიდღე სულ უფრო კარგად თამაშობს" — ამბობს პედრო რეკორა, უბნის მექანიკოსი. ამ მუშაკაცის სახელოსნოს ფანჯრები ადრე თურმე პატარა ლიონელ მესის ჩამოული ბურთით, ახლა კი ამ საქმეს ბრუნო აგრძელებს, თუმცა პედროს მომავალი ვარსკვლავის სიანცე ნერვებს მაინცდამაინც არ უშლის: „არა უშავს, ლეოც ასეთი იყო, მაგრამ დღეს ჩემი სახელოსნოს მაგივრად ევროპულ გუნდებს უმტვრევს კარს. მალე ვნახავ, ბრუნო მსოფლიოს სტადიონებზე როგორ იხალისებს..."

ბრუნო კი უთქმელი ბიჭია, რასაკვირველია, დროის იმ ბედნიერი მონაკვეთის გამოკლებით, როცა მოედანზე მეტოქის მცველებს ასულელებს. „სახლში ხშირად არ ლაპარაკობს, თუმცა როცა თამაშობს, მის ხუმრობა-წამოძახილებზე ბიჭები სიცილით იხოცებიან" — უთხრა არგენტინელ ჟურნალისტებს ბრუნოს მამამ, კლაუდიო ბიანკუჩიმ. ბრუნოს დედის, სენიორა მარსელას თქმით კი, მის ბიჭუნას, სახელგანთქმულ ბარსელონელ ნათესავისგან განსხვავებით, ფეხბურთთან ერთად ქუჩაში მუშტის ქნევაც ჰყვარებია. „ლიონელი სულ ფეხბურთზე გიჟდებოდა, ხშირად ბურთის გარდა ყველაფერი ავიწყდებოდა, ბრუნო კი, თუ ყურადღება არ მივაქციეთ, ეგრევე ქუჩის ჩხუბში ებმება" — ღიმილით განუცხადა მარსელა ბიანკუჩიმ „კლარინის" კორესპონდენტს.

ჯერჯერობით ბიანკუჩი იმავე საფეხბურთო სკოლაში სწავლობს, სადაც ადრე ლეო მესი სწავლობდა და მწვრთნელებიც ბრუნოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. „თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბრუნოს შეძენით რამდენიმე წელიწადში ევროპული კლუბები დაინტერესდებიან" — იმედიანადაა მომავალი ვარსკვლავის მამა. თუ ეს მოხდა, პედროს სახელოსნოს ფანჯრები ცოტა ხნით ამოისუნთქებს, რა თქმა უნდა, თუ როსარიოში კიდევ ერთი ფენომენი არ გამოჩნდა...

**ლადო ხომერიკი**



# ჩელსი შარს დაუბრუნდა

„ჩელსი" მაინც არ ეშვება არსენალელ ეშლი კოულს, რომელმაც აბრამოვიჩის კლუბი შარშან შარში გახვია. საშარო საქმე კი იმით დაიწყო, რომ ჩელსელები კანონგარეშე ცდილობდნენ „მეთოფეთა" მცველის გადაბირებას. ეს ამბავი „გასკდა" და კლუბიც და ფეხბურთელიც გვარიანად დააჯარიმეს.

წლეულს უკვე „ჩელსი" ოფიციალურად, ყველა წესის დაცვით აპირებს ტრანსფერის გაჩარხვას. ჟოზე მაურინიუს მიაჩნია, რომ ეშლი კოული მის გუნდში მარცხენა მცველის პრობლემას მოაგვარებს. არსენალელ მცველს კი ჯამაგირად კვირაში 90 ათას გირვანქას ჰპირდება.

კოულის გარდა „ჩელსის" მწვრთნელს ბარსელონელი რაფაელ მარკესის გადაბირებაც სწადია, რომელიც კარგად ერთვება შეტევებში და გოლების გატანაც შეუძლია.

მექსიკელის ტრანსფერი ალბათ არ გამოვა, რაკი „ბარსელონაში" კარიერის დასრულებას აპირებს: „კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი წელი დამრჩა და აქედან წასვლაზე არ ვფიქრობ. ჭორის დონეზე ვიცი, რომ ჩელსელებს ჩემი ყიდვა უნდათ. ინგლისურ ფეხბურთს პატივს ვცემ, მაგრამ მინდა, კარიერა „ბარსელონაში" დავასრულო".

# ლივერპული რეალში გადადის

**ხაბი ალონსო** მადრიდის „რეალის" სატრანსფერო სამიზნეზეა. „ლივერპულის" ნახევარმცველი ფეხბურთელთა იმ ტიპს მიეკუთვნება, რომელიც სამეფო გუნდის ახალ პრეზიდენტ ფერნანდო მარტინს ერთობ მოსწონს და „რეალიც" მომავალი სეზონისთვის თანამემამულის „ბერნაბეუზე" ჩაყვანისთვის იბრძოლებს.

ალონსოს შეძენა გალაქტიკოსებს ადრეც აინტერესებდათ. მაშინ, ექსპრეზიდენტი პერესის დროს, ჯერ კიდევ „სოსიედადის" ფეხბურთელი, თითქოს „რეალში" უნდა გადასულიყო, თუმცა მადრიდელების ყოფილმა მწვრთნელმა კამაჩომ დაიჟინა, ხაბი ალონსო არ მინდაო და ბასკების ნახევარმცველიც „ლივერპულში" გადაბარგდა.

ამჟამად ხაბიზე „რეალში" უკვე სერიოზულად ფიქრობენ. გალაქტიკოსთა სასურველ ფეხბურთელს „ლივერპულთან" კონტრაქტით კიდევ სამი წლით უწევს თანამშრომლობა, თუმცა რაფა ბენიტესი მომავალ სეზონში „რეალის" მწვრთნელი თუ გახდა, „ენფილდიდან" „ბერნაბეუზე" ხაბი ალონსოსაც წაიყვანს. მას შემდეგ, რაც „ლივერპული" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, ინგლისელთა გუნდის თავები სავარაუდოდ, დამრიგებელს და ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს გამოემშვიდობებიან.

ხაბი ალონსოს გარდა „რეალი" „არსენალის" ახალგაზრდა კატალონიელის, სესკ ფაბრეგასის ყიდვასაც აპირებს. „ბერნაბეუს" ნახევარდაცვაშიც სამომავლოდ სესკისა და ალონსოს დუეტია მოსალოდნელი ოღონდ...

„რეალის" პრეზიდენტ ფერნანდო მარტინს „ჰაიბერიზე" ჩემპიონთა ლიგის თამაშის მერე ვესაუბრე და ფაბრეგასზე არაფერი უთქვამს" — განუცხადა „ასის" ჟურნალისტს სესკ ფაბრეგასის აგენტმა.

**ლადო ხომერიკი**



ხაბი ალონსო



სესკ ფაბრეგასი

# სიმთვრალეში ნათქვამი



**იციით** ვინ არის რონ ვან ნისტელროი? ის რუდ ვან ნისტელროის ძმაა. ჩვენთვის უცნობია არიან თუ არა ვან ნისტელროების ოჯახში სხვა დედმამიშვილებიც და თუ არიან მათი სახელიც რ-ზე იწყება თუ არა, მაგრამ მთავარი სხვაა: რონის ერთმა ნათქვამმა რუდის გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

კერძოდ, რონ ვან ნისტელროიმ მანჩესტერის ერთ-ერთ პაბში ძმაბიჭთან საუბრისას სინანულით თქვა, როგორც ჩანს ჩემი ძმა „იუნაიტედიდან" წავაო. ძმაბიჭმა, ეს რომ მოისმინა, ინგლისური ადათის თანახმად საინტერესო ინფორმაცია პრესას მიყიდა.

„როდესაც ვკითხე მიდის თუ არამეთქი, რონმა მიპასუხა, რომ „ოლდ ტრეფორდზე" მისი ძმის მომავალი აღარ ჩანს. ადრე, ასეთი შეკითხვის დროს ის ყოველთვის ხელებს ასავსავებდა და კატეგორიულად უარყოფდა მისი ძმის სადმე გადასვლას, ახლა კი სხავნაირად ილაპარაკა".

აქ უნდა განვმარტოთ, რომ რონ ვან ნისტელროი „მანჩესტერ იუნაიტედის" ფანებში ცნობილი კაცია. ის დემოკრატიული ბუნების ადამიანი გახლავთ და ვიპ-ის ლოჟებს არ სწყალობს, სახალხო ტრიბუნაზე ჯდება, ქომაგებში ითქვიფება და მათთან ერთად უჭერს „იუნაიტედს" მხარს.

როგორც კი ამ ინფორმაციამ გაჟონა, ინგლისურმა გაზეთებმა ჩხრეკას მიჰყვეს ხელი. სად შეიძლება მიდიოდეს რუდ ვან ნისტელროი? ამბობენ, რომ მისი ყიდვით "ტოტენჰემია" დაინტერესებული და ამ საქმისთვის 7 მილიონი გირვანქა გადადებული აქვს. ამბობენ იმასაც, რომ ვან ნისტელროის იწვევენ იტალიური კლუბები, „მილანი" და „რომა", თუმცა დაზუსტებული ჯერ არაფერია.

როჯერ ლინსი, ვან ნისტელროის აგენტი, ამ ეტაპზე მარჯვნივ და მარცხნივ უარის თქმითაა დაკავებული. სადმე გადასვლა იქით იყოს და მან „მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტაქტის გაგრძელებაც კატეგორიულად უარყო.

„არაფერი ვიცი, ახალი კონტრაქტი არავის შემოუთავაზებია. ამ წუთას მხოლოდ ის ვიცი, რომ კონტრაქტის თანახმად ვან ნისტელროის „მანჩესტერ იუნაიტედთან" კიდევ ორი წელიწადი აკავშირებს" — თქვა მან.

რამდენადაც ცნობილია რუდ ვან ნისტელროი და მანჩესტერელთა სახელგანთქმული მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ერთმანეთს ფაქტობრივად აღარც ელაპარაკებიან.

**პაპუნა ძედია**

# მშვიდი სიამოვნება



**ფრანგული „ონზ მუნდიალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს. ზიზუ ამაზე ფიქრს ფეხბურთისგან თავისუფალ დროს აპირებს**

— რჩება შთაბეჭდილება, რომ ყოველ თამაშს ისე აგემოვნებთ, თითქოს ის თქვენს კარიერაში ბოლო იყოს.

— მართალია. მოედანზე ასეთი სიამოვნება დიდი ხანია არ მიმიღია. პატარ-პატარა პრობლემები უკან მოვიტოვე და ფორმა აღვიდგინე. ცოტა ხნის წინ ზედმეტი წონა მიშლიდა ხელს, საუკეთესო ფიზიკური მდგომარეობით ვერ დავიკვეხნიდი და ბურთს ჩემებურად, რომ ველარ ვაგორებდი, სწორედ ამის ბრალი იყო.

— ასეთი შემადგენლობის პატრონი „რეალი“ კი ვერაფერს იგებს. რატომ? ეს კითხვა უამრავ ადამიანს უჩნდება.

— ამ ხალხისა მესმის, მაგრამ ეს ფეხბურთია. ფეხბურთში ყოველთვის უძლიერესი რომ იგებდეს, უინტერესო იქნებოდა. გამარჯვება მას რჩება, ვისაც მეტად უნდა, ვინც იბრძვის, ინდომებს...

— იქნებ, „რეალში“ ბევრი საუცხოო პიანისტია, მაგრამ არ არიან ისინი, ვინც როიალი უნდა ათრიოს.

— ასეთი განსაზღვრებები არ მიყვარს. წონასწორობა ყველგან და ყოველთვის აუცილებელია, უბრალოდ, ფუნქციებია სხვადასხვანაირი. ზოგის შესასრულებლად მეტი მუშაობაა საჭირო. მაგალითად, რონალდო წინ და უკან გიჟივით არ უნდა დარბოდეს, ის შეტევას უნდა აგვირგვინებდეს.

— ესპანეთის თასის ნახევარფინალში პირველი თამაში 1:6 წააგეთ, მეორე კი 4:0 მოიგეთ, მაგრამ არ გეყოთ...

— ექვსი წელიწადია აქ ვარ და „ბერნაბეუზე“ ასეთი ამბავი არ მინახავს. სხვებიც იგივეს ამბობენ. იმ დღეს მაყურებელი ისეთი ძალით გვერეკებოდა წინ, მეტოქის კარისკენ, რომ ფეხები თავად მირბოდნენ, ხოლო როდესაც ბურთს „სარაგოსა“ მიიღებდა გამაყრუებელი სტვენა ისმოდა.

— ლოპეს კარომ რა სიახლე მოიტანა გუნდში?

— თავისი ცოდნა. მე და ლოპეს კარო „რეალში“ 2001 წელს ერთად მივედით და მას მერე ის მეორე შემადგენლობას უდგას სათავეში. ფეხბურთში ცოტა ვერკვევი და შემიძლია ვთქვა, რომ ლოპეს კარო საუცხოო მწვრთნელია. ეს თავიდანვე შევატყვე. მასში არის ვნება, ცეცხლი და მერწმუნეთ, თუ „რეალში“ ვერ მიაღწევს წარმატებას, სადმე სხვაგან დიდ ჯილდოებს აუცილებლად მოიგებს.

— რა საიდუმლო აქვს ასეთი?

— რაც ის მოვიდა, გიჟებივით ვვარჯიშობთ, ფიზიკური ფორმა გამოვაკეთეთ და რაღაც-რაღაც დეტალებიც შევასწორეთ.

— მარცხნიდან ცენტრში რატომღა გადაინაცვლეთ?

— იმიტომ, რომ ცენტრში ყოველთვის უკეთ ვგრძნობდი თავს. მწვრთნელმა თამაშის სქემა მთლიანად შეცვალა, განა მარტო ჩემი პოზიციაა ახალი. ლოპეს კარომ იცის რა უნდა, თუმცა ერთი წუთით არ ვამბობ იმას, რომ ლუშემბურგოს არაფერი გამოსდიოდა. მას თავისი იდეები ჰქონდა, ოღონდ ჩვენ ისინი ვერ გავაცოცხლეთ, საბოლოოდ კი, მოგეხსენებათ, ყველაფერი მწვრთნელს ბრალდება.

— და ბოლოს, გვაქვს თქვენი ფეხბურთის კიდევ ერთი წლით ხილვის ბედნიერება?

— ახლა ჩემთვის მთავარია „რეალმა“ დარჩენილი თვეები კარგად ჩაატაროს და შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვიდეთ კარგად. ასე, რომ ჯერ არაფერს ვჩქარობ. კონტრაქტით ერთი წელიწადი წინ მაქვს. თუ რაიმეს გადავწყვეტ, მხოლოდ იმის მიხედვით, რას შევატყობ საკუთარ თავს. არავის მოტყუებას არ ვაპირებ. თუ შევატყობ, რომ აღარ შემიძლია, ფეხბურთიდან წავალ.

## მერვედფინალური ჩხუბი რომში



**სანამ** „რომა“ და „მიდლსბრო“ ერთმანეთში უეფას თასის მეოთხედფინალისტის ვინაობას გაარკვევდნენ, მათმა ფანებმა ქუჩაში დაიწყეს საქმის გარჩევა. ინციდენტი რომის ცენტრში ერთ-ერთ ბართან მოხდა. მთლიანობაში დაახლოებით ასამდე მოჩხუბარი იყო. მათ ბოთლების სროლაც არ დაიზარეს და გამვლელებიც დააზიანეს.

რომის პოლიცია საქმეში ჩაერთო და ვითარება განმუხტა. „მიდლსბროს“ სამი ქომაგი საავადმყოფოში მოხვდა. როგორც ირკვევა, ჩხუბი „რომას“ „ულტრასებმა“ წამოიწყეს.

„სამწუხარო ინციდენტი მოხდა. ჩვენი ქომაგები ერთ-ერთ ბარში სვამდნენ, როდესაც მათ „რომას“ ფანები დაესხნენ თავს. რამდენიმე გულშემატკივარი დაშავდა კიდეც და ერთ-ერთი ჯერაც ჰოსპიტალშია, მაგრამ, საბედნიეროდ, საშიში არაფერია“ — განაცხადა „მიდლსბროს“ თავმჯდომარე კეიტ ლამბმა.

**კოკი კანდელაკი**

## ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩი
პრესტონი 3:1 იფსვიჩი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 38 | 27 | 9 | 2 | 80:24 | 90 |
| შეფილდი | 38 | 22 | 9 | 7 | 64:39 | 75 |
| ლიდსი | 37 | 20 | 10 | 7 | 53:31 | 70 |
| უოტფორდი | 38 | 19 | 12 | 7 | 67:43 | 69 |
| კრ. პალასი | 37 | 18 | 9 | 10 | 56:37 | 63 |
| პრესტონი | 37 | 14 | 18 | 5 | 48:26 | 60 |
| ვულვზი | 38 | 14 | 16 | 8 | 42:30 | 58 |
| კარდიფი | 38 | 15 | 10 | 13 | 51:45 | 55 |
| ქოვენთრი | 38 | 13 | 12 | 13 | 51:54 | 51 |
| იფსვიჩი | 38 | 13 | 12 | 13 | 44:52 | 51 |
| ნორვიჩი | 38 | 14 | 8 | 16 | 47:54 | 50 |
| ლუთონი | 38 | 14 | 6 | 18 | 57:60 | 48 |
| პლიმუთი | 38 | 11 | 14 | 13 | 33:40 | 47 |
| ქუინზ პარკი | 37 | 12 | 11 | 14 | 42:51 | 47 |
| სტოკი | 37 | 13 | 5 | 19 | 39:53 | 44 |
| ლესტერი | 38 | 10 | 13 | 15 | 43:51 | 43 |
| ბარნლი | 37 | 12 | 7 | 18 | 41:50 | 43 |
| საუთჰემპტონი | 37 | 8 | 18 | 11 | 35:38 | 42 |
| დერბი | 38 | 8 | 18 | 12 | 48:54 | 42 |
| ჰალი | 38 | 10 | 11 | 17 | 42:49 | 41 |
| უენსდი | 38 | 8 | 11 | 19 | 28:48 | 35 |
| მილუოლი | 38 | 6 | 15 | 17 | 29:51 | 33 |
| ბრაიტონი | 38 | 5 | 15 | 18 | 32:58 | 30 |
| ქრიუ | 37 | 5 | 13 | 19 | 42:76 | 28 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
ფიურტი 0:0 ალემანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 25 | 14 | 7 | 4 | 39:19 | 49 |
| ალემანია | 24 | 14 | 4 | 6 | 43:25 | 46 |
| კოტბუსი | 25 | 11 | 8 | 6 | 38:27 | 41 |
| ფრაიბურგი | 24 | 12 | 5 | 7 | 32:25 | 41 |
| ფიურტი | 24 | 11 | 7 | 6 | 37:30 | 40 |
| პადერბორნი | 25 | 10 | 7 | 8 | 36:23 | 37 |
| კარლსრუე | 24 | 10 | 7 | 7 | 33:29 | 37 |
| უნტერჰახინგი | 24 | 10 | 4 | 10 | 38:34 | 34 |
| ჰანზა | 24 | 10 | 4 | 10 | 33:32 | 34 |
| მიუნხენი | 25 | 8 | 8 | 9 | 34:34 | 32 |
| ბურგჰაუზენი | 25 | 8 | 8 | 9 | 29:38 | 32 |
| ბრაუნშვაიგი | 24 | 9 | 4 | 11 | 25:27 | 31 |
| აუე | 25 | 7 | 9 | 9 | 24:29 | 30 |
| დინამო | 24 | 7 | 5 | 12 | 26:34 | 26 |
| ოფენბახი | 24 | 7 | 4 | 13 | 24:44 | 25 |
| ზაარბრიუკენი | 23 | 6 | 5 | 12 | 27:45 | 23 |
| ალენი | 24 | 5 | 7 | 12 | 26:39 | 22 |
| ზიგენი | 23 | 5 | 5 | 13 | 22:32 | 20 |


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“
რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14


## ფეხბურთის რუკასთან



**პორტუგალიური** „ბენფიკას“ ბრაზილიელი მცველი ალსიდესი ალბათ გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასთან“ პირველ მეოთხედფინალურ მატჩს და შესაძლოა, ვერც საპასუხო შეხვედრაში ითამაშოს. მან „ნავალთან“ მატჩში მუხლი დაიზიანა. ექიმები ჯერ ზუსტ დიაგნოზს ვერ სვამენ. ასეთი ტრავმებს ერთთვიანი სარეაბილიტაციო პერიოდი მაინც სჭირდება.

**ფრანგული** პრესის ცნობით, „ოსერის“ ვიცე-პრეზიდენტი გი რუ ინგლისური „პორტსმუთის“ ყოფილ მწვრთნელ ალან პერინს დაუკავშირდა და შესაძლოა, ეს უკანასკნელი „ოსერის“ თავკაცი გახდეს. საქმე ის არის, რომ თავად გი რუს გუნდიდან წასვლის შემდეგ პოსტზე მისულ ჟაკ სანტინის ცუდი შედეგები ნამდვილად არ აქვს, მაგრამ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაურთულდა. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სანტინიმ დაიწუწუნა, როდესაც „ოსერის“ შეფობამ იანვარში ორი წამყვანი მოთამაშე, ბენჟანი მვარუვარი და აბუ დიაბი გაყიდა.

**ინგლისური** „უიგანი“ უკვე მომავალ სეზონზე ფიქრობს. კლუბმა ახალგაზრდა პოლონელი ტომაშ სივკა დაიმატა. 17 წლის შემტევი ნახევარმცველი „უიგანს“ ზაფხულში, სწავლის დასრულების შემდეგ შეუერთდება. მხარეები სავარაუდოდ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. „შევძელით, მსოფლიოს გამორჩეული და ყველაზე პერსპექტიული მოთამაშეები ჩავიგდოთ ხელში, რაც იმას ნიშნავს, რომ კლუბის რეპუტაცია საგრძნობლად გაიზარდა. ტომაშს სხვა კლუბებიც უტრიალებდნენ და, საბედნიეროდ, მათ ჩვენ ვაჯობეთ. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია და შეუძლია, „უიგანის“ მომავალში დიდი როლი ითამაშოს“ — თქვა „უიგანის“ მწვრთნელმა ჯუელმა.

**რუსულმა** „სპარტაკმა“ გერმანული „შტუტგარტისგან“ 25 წლის ავსტრიელი მცველი მარტინ შტრანცლი შეიძინა. მხარეებმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. ტრანსფერის ფინანსური მხარე არ ხმაურდება, მაგრამ რუსული პრესის ცნობით, მოსკოველებმა დაახლოებით 3 მილიონი ევრო გადაიხადეს. შეგახსენებთ, რომ დედაქალაქელებმა იანვარში ლონდონის „არსენალიდან“ თავდამსხმელი ქუინსი ოვუსუ-აბეიეც იყიდეს.

**ირლანდიური** ფეხბურთისა და „სელტიკის“ ვარსკვლავმა როი კინმა განაცხადა, რომ კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. ვეტერანი ნახევარმცველი ალბათ სეზონის ბოლოს ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს. „ყველა მოთამაშის ცხოვრებაში დგება ის მომენტი, როდესაც უნდა წახვიდე, ვფიქრობ, ამისთვის შესაფერისი დრო დადგა“ — აღნიშნა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა ფეხბურთელმა.

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცანობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 16:45 | 1 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1.90 | 3.30 | 3.90 | 1.20 | 1.27 | 1.78 |
| 19:00 | 2 | ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 6.50 | 3.70 | 1.50 | 2.35 | 1.21 | 1.06 |
| 19:00 | 4 | ბლეკბერნი-მიდლსბრო | 1.90 | 3.30 | 3.90 | 1.20 | 1.27 | 1.78 |
| 19:00 | 6 | ბოლტონი-სანდერლენდი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 19:00 | 8 | არსენალი-ჩარლტონი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 19:00 | 9 | სიტი-უიგანი | 2.05 | 3.20 | 3.50 | 1.24 | 1.29 | 1.67 |
| 19:00 | 10 | ვესტ ჰემი-პორტსმუთი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 21:15 | 12 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 14 | ნიუკასლი-ლივერპული | 2.85 | 3.20 | 2.35 | 1.50 | 1.28 | 1.35 |
| 20:00 | 15 | ფულემი-ჩელსი | 6.50 | 3.70 | 1.50 | 2.35 | 1.21 | 1.06 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 18 | ჰალი-ქრიუ | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 19 | ლუტონი-დერბი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 20 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 19:00 | 21 | ქოვენტრი-ლიდსი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 19:00 | 22 | მილუოლი-ლესტერი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 23 | უენზდეი-პრესტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 24 | ნორვიჩი-შეფილდი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 25 | ქპრ-ბრაიტონი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 26 | სტოუკი-ბერნლი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 19:00 | 27 | პლიმუთი-კარდიფი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 28 | რედინგი-ვულვერჰემპტონი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | **20 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 29 | საუთჰემპტონი-უოტფორდი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 31 | სუონსი-ბრენტფორდი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 23:45 | 32 | ტრანმირი-უოლსოლი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 33 | ბორნმუთი-იოვილი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 34 | ბრისტოლი-ჯილინგემი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 19:00 | 35 | დონკასტერი-ნოტინგემი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 36 | ბრედფორდი-ოლდჰემი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 19:00 | 37 | ბლეკპული-პორტ ვეილი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 38 | ჰადერსფილდი-როტერჰემი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 19:00 | 39 | ჩესტერფილდი-სკანთორპი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 40 | დონსი-საუთენდი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 19:00 | 41 | კოლჩესტერი-სვინდონი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 19:00 | 42 | ჰარტლპული-ბარნსლი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 45 | როჩდეილი-რექსემი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 46 | რაშდენი-ლეიტონი | 2.95 | 3.20 | 2.15 | 1.53 | 1.24 | 1.28 |
| 19:00 | 47 | ბოსტონი-ლინკოლნი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 48 | სტოკპორტი-მაკლსფილდი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 49 | მენსფილდი-ნორთჰემპტონი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 19:00 | 50 | ნოტსი-ოქსფორდი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 19:00 | 51 | უიკომბი-ტორკი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 52 | პიტერბორო-ბარნეტი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 53 | შრუსბერი-როვერსი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 54 | გრიმსბი-ბერი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 55 | დარლინგტონი-კარლაილი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 19:00 | 56 | ჩესტერი-ჩელტენჰემი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 58 | დაგ ენდ რედი-მორკემბი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 19:00 | 59 | აკრინგტონი-სტივენიჯი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 60 | გრეივზენდი-ტემუორთი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 19:00 | 61 | კენვი-იორკი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 19:00 | 62 | კიდერმინსტერი-ალდერშოტი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 63 | საუთპორტი-ალტრინჩემი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 19:00 | 64 | კემბრიჯი-ჰალიფაქსი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 65 | ბარტონი-ჰერეფორდი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 66 | კილმარნოკი-ფალკირკი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 19:00 | 67 | მაზერველი-ჰიბერნიანი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 19:00 | 68 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 16:30 | 69 | ჰართსი-რეინჯერსი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 70 | აირდრი-ჰამილტონი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 19:00 | 71 | კლაიდი-სტ.მირენი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 19:00 | 72 | ბრეჩინი-როსი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |
| 19:00 | 73 | დანდი-სტ.ჯონსტონი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 74 | ქუინი-სტრანრაერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 77 | პიტერჰედი-სტირლინგი | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| 19:00 | 78 | დამბარტონი-ფორფარი | 2.25 | 3.30 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 19:00 | 79 | პარტიკი-გრეტნა | 4.30 | 3.60 | 1.60 | 1.95 | 1.16 | 1.10 |
| 19:00 | 80 | ალოა-მორტონი | 5.00 | 3.60 | 1.55 | 2.09 | 1.18 | 1.08 |
| 19:00 | 81 | ეარი-რეითი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 82 | არბროთი-ბერვიკი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 19:00 | 83 | მონტროუზი-კოუდენბითი | 4.20 | 3.50 | 1.65 | 1.90 | 1.18 | 1.12 |
| 19:00 | 84 | ალბიონი-ელგინი | 3.20 | 3.30 | 1.90 | 1.62 | 1.19 | 1.20 |
| 19:00 | 85 | ისტ სტერლინგი-ქუინს პარკი | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 19:00 | 86 | ისტ ფაიფი-სტენჰაუსმუირი | 4.00 | 3.50 | 1.70 | 1.86 | 1.19 | 1.14 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 18:30 | 87 | აინტრახტი-დუისბურგი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 18:30 | 88 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| 18:30 | 90 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 18:30 | 91 | ჰანოვერი-კიოლნი | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| 18:30 | 93 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 18:30 | 95 | ნიურნბერგი-ვერდერი | 3.10 | 3.30 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.30 |
| 18:30 | 96 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 94 | ბაიერნი-შალკე | 1.72 | 3.40 | 4.50 | 1.14 | 1.24 | 1.93 |
| 20:30 | 97 | ჰერტა-არმინია | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 159 | ტრევიზო-კალიარი | 2.90 | 2.90 | 2.45 | 1.45 | 1.32 | 1.32 |
| 23:30 | 160 | ლივორნო-იუვენტუსი | 5.30 | 2.90 | 1.80 | 1.87 | 1.34 | 1.11 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 162 | ინტერი-ლაციო | 1.50 | 3.50 | 7.00 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 18:00 | 163 | რეჯინა-ემპოლი | 1.90 | 2.90 | 4.50 | 1.14 | 1.33 | 1.76 |
| 18:00 | 164 | ფიორენტინა-ასკოლი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 18:00 | 166 | უდინეზე-მილანი | 5.00 | 3.30 | 1.70 | 1.98 | 1.26 | 1.12 |
| 18:00 | 168 | სამპდორია-პალერმო | 2.10 | 2.90 | 3.70 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 18:00 | 169 | ლეჩე-პარმა | 2.35 | 3.10 | 2.95 | 1.33 | 1.30 | 1.51 |
| 18:00 | 171 | კიევო-სიენა | 2.00 | 2.90 | 4.10 | 1.18 | 1.34 | 1.69 |
| 23:30 | 172 | რომა-მესინა | 1.45 | 3.60 | 8.00 | 1.03 | 1.22 | 2.48 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 174 | კრემონეზე-მოდენა | 2.40 | 2.70 | 3.00 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 175 | რიმინი-პესკარა | 2.20 | 2.60 | 3.80 | 1.19 | 1.39 | 1.54 |
| 19:00 | 176 | ტერნანა-პიაჩენცა | 2.40 | 2.60 | 3.20 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| 19:00 | 177 | კატანია-ტრიესტინა | 1.45 | 3.50 | 7.00 | 1.02 | 1.20 | 2.33 |
| 19:00 | 178 | ალბინოლეფე-ვერონა | 2.45 | 2.70 | 3.00 | 1.28 | 1.34 | 1.42 |
| 19:00 | 179 | ტორინო-მანტოვა | 2.00 | 2.70 | 4.00 | 1.14 | 1.33 | 1.61 |
| 19:00 | 180 | ვიჩენცა-ბარი | 2.20 | 2.60 | 3.55 | 1.19 | 1.35 | 1.50 |
| 19:00 | 181 | ბრეშა-კატანძარო | 1.45 | 3.50 | 7.00 | 1.02 | 1.20 | 2.33 |
| 19:00 | 182 | კროტონე-ჩეზენა | 2.35 | 2.70 | 3.10 | 1.25 | 1.33 | 1.44 |
| 19:00 | 183 | აველინო-არეცო | 2.45 | 2.70 | 3.00 | 1.28 | 1.34 | 1.42 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 206 | ვილარეალი-ატლეტიკო | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 23:00 | 207 | სოსიედადი-ბარსელონა | 5.20 | 3.60 | 1.60 | 2.12 | 1.22 | 1.10 |
| 21:00 | 210 | ხეტაფე-დეპორტივო | 2.50 | 3.20 | 2.70 | 1.40 | 1.29 | 1.46 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 204 | კადისი-ალავესი | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 23:45 | 205 | სელტა-ბილბაო | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 22:00 | 208 | რეალი-ბეტისი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| 20:00 | 211 | სევილია-მალიორკა | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 20:00 | 212 | ესპანიოლი-ოსასუნა | 2.15 | 3.30 | 3.10 | 1.30 | 1.26 | 1.59 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 213 | რასინგი-ვალენსია | 3.20 | 3.30 | 2.10 | 1.62 | 1.26 | 1.28 |
| 22:00 | 215 | მალაგა-სარაგოსა | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 18 მარტი | | | | | | |
| 20:15 | 227 | ლე მანი-ნანტი | 1.90 | 3.10 | 4.20 | 1.17 | 1.30 | 1.78 |
| 23:00 | 228 | მეცი-რენი | 2.60 | 3.00 | 2.70 | 1.39 | 1.32 | 1.42 |
| 23:00 | 229 | ტრუა-ბორდო | 3.50 | 2.90 | 2.15 | 1.58 | 1.33 | 1.23 |
| 23:00 | 231 | ტულუზი-ლანსი | 2.35 | 2.70 | 3.30 | 1.25 | 1.37 | 1.48 |
| 23:00 | 232 | სოშო-ლიონი | 4.10 | 3.00 | 1.90 | 1.73 | 1.29 | 1.16 |
| 23:00 | 234 | აიაჩო-მონაკო | 2.90 | 3.00 | 2.40 | 1.47 | 1.31 | 1.33 |
| 23:00 | 235 | ნიცა-ნანსი | 2.00 | 3.00 | 3.70 | 1.20 | 1.29 | 1.65 |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 20:30 | 236 | ლილი-მარსელი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 21:00 | 237 | სტ.ეტიენი-სტრასბური | 1.90 | 3.10 | 4.10 | 1.17 | 1.29 | 1.76 |
| 23:45 | 238 | პსჟ-ოსერი | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 240 | კლერმონი-ვალენსიენი | 2.70 | 2.70 | 2.75 | 1.35 | 1.36 | 1.36 |
| 23:30 | 241 | ისტრი-მონპელიე | 2.25 | 2.60 | 3.60 | 1.20 | 1.38 | 1.50 |
| 23:30 | 242 | რეიმსი-ამიენი | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 23:30 | 243 | გენგამი-ბრესტი | 2.05 | 2.60 | 4.10 | 1.14 | 1.36 | 1.59 |
| 23:30 | 244 | გრენობლი-კანი | 2.25 | 2.70 | 3.40 | 1.22 | 1.35 | 1.50 |
| 23:30 | 245 | სედანი-შატორუ | 2.60 | 2.70 | 2.80 | 1.32 | 1.34 | 1.37 |
| 23:30 | 246 | დიჟონი-გენიონი | 1.90 | 2.70 | 4.50 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| 23:30 | 247 | ლორიანი-ბასტია | 2.40 | 2.70 | 3.00 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 248 | ლავალი-კრეტეი | 2.55 | 2.50 | 3.10 | 1.26 | 1.39 | 1.38 |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 249 | სედანი-ლე ავრი | 1.85 | 2.90 | 4.20 | 1.12 | 1.28 | 1.71 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 250 | სტანდარდი-გენტი | 1.60 | 3.60 | 4.80 | 1.10 | 1.20 | 2.05 |
| 23:30 | 256 | ვარეგემი-ლიერსი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| | | 18 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 251 | ვესტერლო-ბრიუგე | 4.30 | 3.50 | 1.70 | 1.92 | 1.21 | 1.14 |
| 23:00 | 253 | სერკლი-ბრიუსელი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 23:00 | 254 | ანდერლეხტი-ბევერენი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 23:00 | 257 | შარლერუა-ლოკერენი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:00 | 258 | ბეერსხოტი-მუსკრონი | 1.90 | 3.30 | 3.65 | 1.20 | 1.24 | 1.73 |
| 23:00 | 259 | ლევენი-რუსელარე | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 260 | გენკი-სტ.ტრუიდენი | 1.65 | 3.40 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 270 | ბრედა-ვიტესი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | 18 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 271 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 22:30 | 272 | პსვ-ნაიმეგენი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 22:30 | 274 | ჰერენვენი-ვალვაიკი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 22:30 | 275 | დენ ჰააგი-როდა | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 276 | როზენდალი-ტვენტე | 4.20 | 3.50 | 1.70 | 1.90 | 1.21 | 1.14 |
| 17:30 | 277 | სპარტა-უტრეხტი | 2.55 | 3.30 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.40 |
| 17:30 | 278 | გრონინგენი-აიაქსი | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 15:30 | 279 | ალკმაარი-ფეიენოორდი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 290 | მაასტრიხტი-ალმერე | 1.50 | 3.60 | 5.60 | 1.05 | 1.18 | 2.19 |
| 23:00 | 291 | დენ ბოსხი-ტელსტარი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 23:00 | 293 | გრააფსხაპი-ჰელმონდი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:00 | 294 | ვეენდამი-სიტარდი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 23:00 | 295 | ექსელსიორი-იგლსი | 1.25 | 4.60 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.04 |
| 23:00 | 296 | ეინდჰოვენი-ვენლო | 2.65 | 3.20 | 2.25 | 1.44 | 1.21 | 1.32 |
| 23:00 | 297 | ვოლენდამი-ემენი | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| 23:00 | 298 | დორდრეხტი-კამბური | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 23:00 | 299 | ზვოლე-აპელდორნი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 306 | ნაველი-ნასიონალი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | 18 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 307 | ბოავიშტა-ბელენენსეში | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 23:45 | 309 | პორტუ-ფეირეირა | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 311 | პენაფიელი-ჟილ ვისენტე | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 20:00 | 312 | ბრაგა-მარიტიმუ | 1.60 | 3.50 | 5.10 | 1.09 | [illegible] | 2.07 |
| 20:00 | 313 | ვიმარაეში-აკადემიკა | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | [illegible] | 1.86 |
| 20:30 | 314 | რიუ ავე-ბენფიკა | 3.80 | 3.30 | 1.90 | 1.76 | 1.26 | 1.20 |
| 20:00 | 315 | ამადორა-სეტუბალი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 23:45 | 316 | ლეირია-სპორტინგი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 326 | ირაკლისი-ეგალეო | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 17:00 | 327 | კალამარია-იონიკოსი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 17:00 | 328 | ატრომიტოსი-ოლიმპია | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 17:00 | 329 | ერგოტელისი-ლევადიაკოსი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 17:00 | 330 | პანათინაიკოსი-ოფი | 1.12 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.33 |
| 17:00 | 332 | ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 17:00 | 333 | პანიონიოსი-პაოკ | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 17:00 | 335 | კალითეა-აეკ | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 18 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 374 | სლოვაცკო-იჰლავა | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 17:25 | 375 | სლავია-პრშიბრამი | 1:45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 376 | ბლშანი-ლიბერეცი | 3.90 | 3.20 | 1.80 | 1.75 | 1.23 | 1.15 |
| 18:00 | 377 | იაბლონეცი-ბოლესლავი | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 20:00 | 378 | სიგმა-მოსტი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 20:00 | 379 | ტეპლიცე-ბრნო | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| 20:00 | 380 | პლზენი-ზლინი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 19:40 | 373 | ბანიკი-სპარტა | 3.20 | 3.00 | 2.05 | 1.54 | 1.24 | 1.21 |
| | | დანია | | | | | | |
| | | სუპერლიგა | | | | | | |
| | | 18 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 393 | სილკებორგი-ბრიონდბიუ | 4.60 | 3.40 | 1.65 | 1.95 | 1.21 | 1.11 |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 395 | ოდენსე-ესბიერგი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 18:00 | 396 | ჰორსენსი-ვიბორგი | 3.30 | 3.30 | 1.95 | 1.64 | 1.22 | 1.22 |
| 18:00 | 398 | სიოდერიისკე-ოლბორგი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 16:15 | 399 | მიდტიულანდი-ორჰუსი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 20:30 | 400 | კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 410 | უოტერფორდი-ბრეი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 23:45 | 412 | დუბლინი სიტი-დერი | 3.60 | 3.20 | 1.85 | 1.69 | 1.22 | 1.17 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 476 | ზენიტი-მარსელი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 20:30 | 477 | ლევსკი-უდინეზე | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 21:00 | 478 | სტრასბური-ბაზელი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 23:30 | 479 | შალკე-პალერმო | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 23:45 | 480 | ბეტისი-სტიაუა | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | როიალ ლიგა | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 23:35 | 683 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 23:35 | 684 | იურგორდენი-ლილესტრიომი | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 524 | მარაკაიბო-ნასიონალი | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 23:45 | 525 | რივერ პლეიტი-პაულისტა | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 23:45 | 526 | ქიტო-რობა | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 670 | ნიტრა-სკალიცა | 1.30 | 4.50 | 5.50 | 1.00 | 1.05 | 2.47 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 22:15 | 775 | ულქერი-ბოლონია | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| 22:45 | 776 | მაკაბი-რეალი | 1.25 | 12.00 | 3.00 | 1.13 | 1.00 | 2.40 |
| 23:45 | 777 | ბარსელონა-ჟალგირისი | 1.20 | 12.00 | 3.50 | 1.09 | 1.00 | 2.70 |
| | | ჩოგბურთი.ქალები | | | | | | |
| | | ინდიან უელსი | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 799 | ენინი-დიულკო | 1.05 | 5.00 | | | | |
| 22:00 | 800 | დემენტიევა-ივანოვიჩი | 1.55 | 2.10 | | | | |

## მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9012 | იაპონია | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ესპანეთი | 12.00 |
| 18:00 | 9012 | ავსტრალია | 80.00 |
| 18:00 | 9012 | პოლონეთი | 75.00 |
| 18:00 | 9012 | ხორვატია | 50.00 |
| 18:00 | 9012 | უკრაინა | 45.00 |
| 18:00 | 9012 | მექსიკა | 40.00 |
| 18:00 | 9012 | შვედეთი | 28.00 |
| 18:00 | 9012 | ტუნისი | 280.00 |
| 18:00 | 9012 | პორტუგალია | 18.00 |
| 18:00 | 9012 | აშშ | 95.00 |
| 18:00 | 9012 | არგენტინა | 9.00 |
| 18:00 | 9012 | იტალია | 8.50 |
| 18:00 | 9012 | გერმანია | 7.50 |
| 18:00 | 9012 | ინგლისი | 6.50 |
| 18:00 | 9012 | ბრაზილია | 3.70 |
| 18:00 | 9012 | შვეიცარია | 100.00 |
| 18:00 | 9012 | ჩეხეთი | 25.00 |
| 18:00 | 9012 | ტოგო | 290.00 |
| 18:00 | 9012 | ჰოლანდია | 15.00 |
| 18:00 | 9012 | კოტ დივუარი | 80.00 |
| 18:00 | 9012 | ს.არაბეთი | 600.00 |
| 18:00 | 9012 | საფრანგეთი | 10.00 |
| 18:00 | 9012 | ანგოლა | 380.00 |
| 18:00 | 9012 | სერბეთი | 100.00 |
| 18:00 | 9012 | კორეა | 250.00 |
| 18:00 | 9012 | განა | 190.00 |
| 18:00 | 9012 | პარაგვაი | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ეკვადორი | 120.00 |
| 18:00 | 9012 | ტრინიდადი | 800.00 |
| 18:00 | 9012 | კოსტა რიკა | 500.00 |
| 18:00 | 9012 | ირანი | 450.00 |

## მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

**ჯგუფი A 9101**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | კოსტა რიკა | 15.00 |
| 18:00 | გერმანია | 1.35 |
| 18:00 | პოლონეთი | 4.50 |
| 18:00 | ეკვადორი | 9.00 |

**ჯგუფი B 9102**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ინგლისი | 1.45 |
| 18:00 | შვედეთი | 3.10 |
| 18:00 | პარაგვაი | 7.00 |
| 18:00 | ტრინიდადი | 35.00 |

**ჯგუფი C 9103**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | სერბეთი | 9.00 |
| 18:00 | არგენტინა | 1.95 |
| 18:00 | ჰოლანდია | 2.40 |
| 18:00 | კოტ დივუარი | 9.00 |

**ჯგუფი D 9104**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ანგოლა | 12.00 |
| 18:00 | ირანი | 10.00 |
| 18:00 | პორტუგალია | 1.80 |
| 18:00 | მექსიკა | 2.10 |

**ჯგუფი E 9105**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | აშშ | 7.00 |
| 18:00 | იტალია | 1.65 |
| 18:00 | ჩეხეთი | 3.00 |
| 18:00 | განა | 10.00 |

**ჯგუფი F 9106**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ხორვატია | 6.20 |
| 18:00 | ავსტრალია | 12.00 |
| 18:00 | იაპონია | 12.00 |
| 18:00 | ბრაზილია | 1.20 |

**ჯგუფი G 9107**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | საფრანგეთი | 1.30 |
| 18:00 | შვეიცარია | 4.80 |
| 18:00 | კორეა | 10.00 |
| 18:00 | ტოგო | 15.00 |

**ჯგუფი H 9108**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ესპანეთი | 1.50 |
| 18:00 | უკრაინა | 3.00 |
| 18:00 | ტუნისი | 8.50 |
| 18:00 | ს.არაბეთი | 30.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10476 | ზენიტი-მარსელი | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10477 | ლევსკი-უდინეზე | 2.80 | 2.00 | 3.30 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10478 | სტრასბური-ბაზელი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10479 | შალკე-პალერმო | 2.10 | 2.00 | 5.50 | 1.02 | 1.51 | 1.46 |
| 10480 | ბეტისი-სტიაუა | 2.25 | 2.00 | 5.00 | 1.05 | 1.55 | 1.42 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11476 | ზენიტი-მარსელი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11477 | ლევსკი-უდინეზე | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11478 | სტრასბური-ბაზელი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11479 | შალკე-პალერმო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11480 | ბეტისი-სტიაუა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12476 | ზენიტი-მარსელი | 1.55 | 2.10 |
| 12477 | ლევსკი-უდინეზე | 1.55 | 2.00 |
| 12478 | სტრასბური-ბაზელი | 1.60 | 2.00 |
| 12479 | შალკე-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 12480 | ბეტისი-სტიაუა | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 3476 | ზენიტი-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13477 | ლევსკი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13478 | სტრასბური-ბაზელი | 1.70 | 1.90 |
| 13479 | შალკე-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13480 | ბეტისი-სტიაუა | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14476 | ზენიტი-მარსელი | 1.75 | 2.00 |
| 14477 | ლევსკი-უდინეზე | 1.80 | 2.00 |
| 14478 | სტრასბური-ბაზელი | 1.65 | 2.10 |
| 14479 | შალკე-პალერმო | 1.30 | 2.40 |
| 14480 | ბეტისი-სტიაუა | 1.35 | 2.35 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15476 | ზენიტი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15477 | ლევსკი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15478 | სტრასბური-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15479 | შალკე-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15480 | ბეტისი-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16476 | ზენიტი-მარსელი | 1.50 | 2.10 |
| 16477 | ლევსკი-უდინეზე | 1.52 | 2.15 |
| 16478 | სტრასბური-ბაზელი | 1.42 | 2.35 |
| 16479 | შალკე-პალერმო | 1.20 | 3.20 |
| 16480 | ბეტისი-სტიაუა | 1.20 | 3.10 |

### გოლი:წყვილი-1ლუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17476 | ზენიტი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17477 | ლევსკი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17478 | სტრასბური-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17479 | შალკე-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17480 | ბეტისი-სტიაუა | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18476 | ზენიტი-მარსელი | 1.30 | 3.00 |
| 18477 | ლევსკი-უდინეზე | 2.10 | 1.60 |
| 18478 | სტრასბური-ბაზელი | 4.20 | 1.15 |
| 18479 | შალკე-პალერმო | 2.10 | 1.55 |
| 18480 | ბეტისი-სტიაუა | 1.50 | 2.30 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ზუგდიდი | გამსახურდიას №41 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ANERES & SUNEV
## ანუ უილიამსდები უკუღმა

*უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში დებ უილიამსების სახელები სულ უფრო იშვიათად ჩნდება საჩოგბურთო კაბადონზე. შავდები აქა-იქ თუ გაიელვებენ და მერე თვეების განმავლობაში იკარგებიან.*

*ამიტომ როგორც უილიამსების გულშემატკივართათვის, ისე ზოგადად, ჩოგბურთის უბრალო მოყვარულებისთვის უინტერესო არ უნდა იყოს, რას საქმიანობენ ეს „ქალბატონები“ და რა არის მათი ასეთი პასიურობის მიზეზი. მით უმეტეს, რომ სამი-ოთხი წლის წინ ისინი თითქმის ყველაფერს იგებდნენ და საჩოგბურთო სამყაროს ნამდვილ რისხვას წარმოადგენდნენ, ხშირად კი ამა თუ იმ დიდი ტურნირის გამარჯვებულის გამოვლენა შიდაოჯახურ ჯახში უწევდათ*

უილიამსებისთვის 2006 წელიც უიღბლოდ დაიწყო. ავსტრალიის ღია პირველობაზე ორივე ძალიან ცუდად გამოვიდა — ვინუსი პირველივე წრეში დაემშვიდობა მელბურნის კორტებს, სერენა კი დის კვალს მეოთხე წრიდან გაჰყოლეს. მას შემდეგ აგერ უკვე თვენახევარი მიილია და დების ჩამიჩუმიც არ ისმის.

ბოლო ხანებში ვინუსი და სერენა ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან კარგი შედეგებით. რისი ბრალია ეს — ტრავმების თუ სხვა რამ გარეშე ფაქტორების?

ტრავმებმა ცხოვრება მართლაც ძალიან გაუმწარათ, მაგრამ ეს ფაქტორი მათი ჩავარდნის მთავარი მიზეზი მაინც არ არის. დებს პრობლემები უფრო ადრე დაეწყოთ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ტიტულს ტიტულზე იგებდნენ — კერძოდ, ისინი სულ უფრო მეტად წყდებოდნენ კორტებს და ამას სპორტული რეჟიმის დარღვევის ხარჯზეც არ ერიდებოდნენ. ვინუსს და სერენას ხშირად ხედავდნენ სხვადასხვა წვეულებებსა და მიღებებზე, რასაც თავისთავად ეწირებოდა ვარჯიშები და ხშირად ტურნირებიც კი. დები სულ უფრო მყარად იკიდებდნენ ფეხს შოუ-ბიზნესში, სპორტი კი ნელ-ნელა მიივიწყეს.

საერთოდ, შოუ-ბიზნესის ბრჭყვიალ-ბზრიალა სამყარო ბევრი სპორტსმენისთვის აღმოჩნდა ძალიან მიმზიდველი. უილიამსები ნამდვილად არ არიან პირველები, რომელთაც მუდმივი ვარჯიშებითა და დამღლელი ტურნირებით გადატვირთულ სპორტულ ცხოვრებას უდარდელი დროს ტარება და გართობა ამჯობინეს.

ლეგენდარული მარტინა ნავრატილოვა ჯერ კიდევ ორი წლის წინ აფრთხილებდა უილიამსდებს: „ჩოგბურთს გარეშე ინტერესები შეიძლება ყველას გააჩნდეს, მაგრამ ჩოგბურთი ნომერ პირველი პრიორიტეტი უნდა იყოს. მე კი მგონია, რომ დღეს არც ვინუსისთვის და არც სერენასთვის ასე არ არის.“

გარეშე ინტერესები კი უილიამსებს, იცოცხლე, ბლომად აქვთ.

თავიდან მათ მწერლობისკენ გაუწიათ გულმა — დებმა მავანი „კალმის ზვიგენი“ დაიქირავეს და მისი დახმარებით ფურცელზე გადაიტანეს თავიანთი ნააზრევ-ნაფიქრალი. წიგნში სახელად „ცხოვრების, სიყვარულისა და გამარჯვების კანონები“ ვინუსი და სერენა თავიანთი წარმატების საიდუმლოს ამხეურებენ და ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებენ მკითხველს. ამ წიგნის პრეზენტაცია-პოპულარიზაციას დებმა თვეები მოანდომეს.

ისე, არის ასეთი გამოთქმა — თავიდან მუშაობ სახელის მოსახვეჭად, შემდეგ კი სახელი მუშაობს შენზეო. უილიამსები ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენენ. მათ დიდი ჯაფა დაადგათ პოპულარობის მოსახვეჭად და ახლა მის „ექსპლუატაციას“ ეწევიან. ისინი, მართლაც, მაქსიმალურად იყენებენ თავიანთ სახელს და ჯიბის გასქელების ახალ-ახალი იდეები ნამდვილად არ აკლიათ. დების ფანტაზიას ჯერჯერობით საზღვარი არ აქვს.

სერენამ ძალები ჯერ მოდელიორის რანგში მოსინჯა და ახლა უკვე ტანსაცმელსაც უშვებს თავის ხაზით, სახელად კი — ANERES ჰქვია (საკუთარი სახელის პირუკუღმა წაკითხვით). მიუხედავად მწარე კრიტიკისა, უმცროსი უილიამსდა მაინც დარწმუნებულია, რომ — „დიზაინერად ვარ დაბადებული და ამასთანავე, წარმოუდგენელად კარგ დიზაინერად.“

უმცროს უილიამსს კიდევ ერთი ჰობიც აქვს — მან საკუთარი კოსმეტიკური ნაწარმის გამოშვება დაიწყო.

კიდევ ერთ ახალ გატაცებად კინოინდუსტრია იქცა და დები უკვე ჰოლივუდშიც ცდილობენ ადგილის დამკვიდრებას. სერენას ჯერ კიდევ შარშან შესთავაზეს სპორტულ მელოდრამა „უიმბლდონში“ თამაში, თუმცა მან კატეგორიული უარი თქვა. მიზეზი? სერენას ფილმში თურმე საკუთარი თავი უნდა ეთამაშა, მაგრამ უმცროსმა უილიამსმა ამ როლს ცხოვრებაშიც კარგად ვართმევ თავს, კინოში კი ნორმალური როლი მჭირდება, რომ ჩემი სამსახიობო „ნიჭი“ გამოვცადოო.

უნდა ითქვას, რომ სერენამ აქაც თავისი გაიტანა და წლეულს მაისში გამოსასვლელ „X-MEN 3“-ში ეპიზოდურად, მაგრამ მაინც გამოჩნდება.

ასეთ ჟრიამულში სპორტისთვის ვისღა სცხელა. ამგვარი გადატვირთული ცხოვრების გამო კი ხშირი ტრავმიანობა სულაც არ არის გასაკვირი. ასე რომ, უილიამსების შემთხვევაში ტრავმები მათი ცხოვრების წესის ლოგიკური შედეგია და არა პირიქით.

ყოველივე ეს კი, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ უილიამსების შერეკილი მამა რიჩარდი სულ უფრო კარგავს შვილებზე გავლენას — ვინუსი და სერენა სწორედ თავიანთ მშობელს უნდა უმადლოდნენ უძლიერეს ჩოგბურთელებად რომ ჩამოყალიბდნენ. მამიკო რიჩიმ ხომ თავიდანვე გადაწყვიტა, ჩემი გოგონები ძლიერი სპორტსმენები უნდა გახდნენო და ექვსი წლის ასაკიდან მათ განსაკუთრებული პროგრამითაც ამზადებდა. როგორც ერთხელ სერენას წამოსცდა, ეს თითქმის მონური შრომა იყო — კვირაში ექვსი დღე ექვსსაათიანი, უაღრესად დამღლელი ვარჯიშები.

მამა რიჩარდი თავის ქალიშვილებს ყველა ტურნირზე დაჰყვებოდა, თავად აკონტროლებდა მათ და მკაცრ რეჟიმშიც ჰყავდა, რამაც თავისი შედეგი გამოიღო.

თუმცა ორიოდე წლის წინ რიჩარდ უილიამსი თავის მეუღლე ორასენ პრაისს დაშორდა და დებიც საცხოვრებლად დედასთან დარჩნენ. ჰოდა, როგორც კი მამის მახვილი თვალი მათ ცხოვრებას მოცილდა, ვინუსი და სერენა თავით გადაეშვნენ შოუ-ბიზნესის მორევში და ვისღა უკვირს, რომ მათთვის სულ უფრო ძნელი ხდება ამა თუ იმ ტურნირისთვის სერიოზულად მომზადება.

ახლანდელ ცხოვრებაში დებ უილიამსებს ერთი რამ ხიბლავთ — ბევრი შრომა არ უხდებათ. აკი თქვა კიდეც სერენამ:

„უდიდესი შრომა გავწიე ჩოგბურთელი რომ გამოვსულიყავი, დიზაინერობა კი ზედმეტი წვალების გარეშე გამომდის.“

სწორედ ეს სიიოლე ხიბლავთ ვინუსსა და სერენას ახალ ცხოვრებაში და ჯერჯერობით დიდად არ ესწრაფვიან კორტზე დაბრუნებას.

**კახა ლომაშვილი**



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კარგი ცხენი არ დაიდგამს უნაგირს...

## ქორა მახვშმა ფაჩულიას მათრახი მოუღერა

ზაზა ფაჩულია „ატლანტას“ ხუთეულში დამკვიდრდა და ხშირად სამაგალითოდაც თამაშობს, თუმც, ცხადია, უიღბლო მატჩებიც გამოერევა, თუნდაც ისეთი, ბოლო ტურში „მილუოკისთან“ რომ იყო. გეხსომებათ, „მილუოკი“ ზაზას ყოფილი გუნდია და მის წინააღმდეგ ბარაქიანი თამაში ქართულ ცენტრს განსაკუთრებულად ემებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მატჩი მისთვის ერთ-ერთი უხეირო გამოდგა ამ სეზონში. ფაჩულიამ 29 წუთში მხოლოდ 2 ქულა მოინაგრა ექვსი სროლიდან. ზაზამ ყოჩაღად იმუშავა ფარქვეშ, 7 ბურთი მოხსნა, თუმც ატლანტურ გაზეთ „ჟორნალ სენტინელში“ მაინც გამოქვეყნდა ქართველი ცენტრის გამოსაფხიზლებელი სტატია სათაურით: „ზაზამ ბრძოლისუნარიანობა დაკარგა?“

აი, სტატიაც...

ფაჩულია ამ სეზონში სულ სხვა გარემოშია, ვიდრე შარშან, როცა ის „მილუოკი ბაქსში“ თამაშობდა. ამ გუნდს „ატლანტა“ ორშაბათ საღამოს ეთამაშა „ბრედლი სენთერში“. ზაზას „მილუოკიში“ მთლიანობაში 1400 წუთი უთამაშია სამარქაფო ცენტრად, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან ამ მოთამაშისთვის ძალიან ცოტაა. წუთების ამ ოდენობას „ატლანტაში“ მან ერთი თვის წინ გადააჭარბა, არადა, სეზონის ბოლომდე ჯერაც ბლომად მატჩებია.

თავის ყოფილ გუნდთან ფაჩულია 29 წუთი ათამაშეს, თითქმის იმდენი, რამდენიც ამ სეზონის თითოეულ მატჩში არის ხოლმე მოედანზე. მას შემდეგ, რაც ამ სეზონის დაწყებამდე „ატლანტას“ ცენტრი ჯეისონ კოლიე გარდაიცვალა, ფაჩულია მყარად ჩაჯდა ხუთეულში. „ქორების“ კიდევ ორ ტანმაღალ მოთამაშეს — ესტებან ბატისტასა და ჯონ ედვარდსს კი სათამაშო დრო მინიმუმამდე შეეკვეცათ.

„ეს თამაში რთული იყო ზაზასთვის — ამბობს „ატლანტას“ დამრიგებელი მაიკ ვუდსონი „მილუოკისთან“ მატჩის შემდეგ — ის ფიზიკურად საკმარისზე ძლიერია, მაგრამ ჩვენ ვუყურეთ ვიდეოფირს და არაერთი მომენტი აღმოვაჩინეთ, სადაც ფაჩულია იმას არ აკეთებდა, რაც მას რეალურად შეუძლია. მას აკლდა ლონეც და ბრძოლისუნარიანობაც. მას ჩვენ საკმარისად ვათამაშებთ და მეტი მოეთხოვება. ზაზა ამ სეზონში ფარქვეშ ცხენივით მუშაობს, თუმც არ მეშინია, რომ გადაიღლება, მას დიდი გამძლეობა აქვს. ეს მცირე ჩავარდნა არაფერია, მისი ნიჭი და ფიზიკური კონდიციები იმედისმომცემია.“

ფაჩულია საშუალოდ 11,3 ქულას და 7,8 მოხსნას იხვეჭს მატჩში, მეტოქის ფარზე მოხსნების ოდენობით ლიგაში მესამეა, ერთი თვის წინ კი სულაც პირველობდა.

**ირაკლი პერტაია**



14 მარტი

**ფილადელფია 97:111 ტორონტო**
ფილადელფია: ვებერი (23)
ტორონტო: ბოში (31)

**მაიამი 121:83 იუტა**
მაიამი: ვეიდი (25)
იუტა: ჰარპრინგი (20)

**ჩიკაგო 95:66 პორტლენდი**
ჩიკაგო: გორდონი (23)
პორტლენდი: რენდოლფი (25)

**სან ანტონიო 96:81 ნიუ ორლეანი**
სან ანტონიო: პარკერი (20)
ნიუ ორლეანი: პოლი (16)

**შარლოტი 114:119 ვაშინგტონი**
შარლოტი: ჯონსი (18)
ვაშინგტონი: ჯემისონი (35)

**მემფისი 93:76 ბოსტონი**
მემფისი: ცაკალიდისი (19)
ბოსტონი: შერბიაკი (18)

**დალასი 91:87 კლივლენდი**
დალასი: ნოვიცკი (30)
კლივლენდი: ჯეიმსი (36)

**საკრამენტო 114:98 ლეიკერსი**
საკრამენტო: ბიბი (29)
ლეიკერსი: ბრაიანტი (30)

**სიეტლი 120:129 ფინიქსი**
სიეტლი: ალენი (33)
ფინიქსი: ბელი (25)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*



## რეგულარული ჩემპიონატი

14 მარტი

**კაროლინა 5:4 რეინჯერსი**
*1:1 2:1 2:1*
1:0 კალენი (9), 1:1 ნიულანდერი (15), 2:1 უეიტი (24), 3:1 უეიტი (32), 3:2 ნიულანდერი (40), 4:2 კომოდორი (46), 4:3 სიკორა (59), 5:3 სტილმანი (60)

**ნიუ ჯერსი 1:6 აილენდერსი**
*0:2 0:2 1:2*
0:1 ტამბელინი (8), 0:2 ბრგენჰემი (15), 0:3 იაშინი (32), 0:4 იაშინი (39), 0:5 ბეიტსი (41), 0:6 ერსკინი (46), 1:6 მარტინი (51)

**ვაშინგტონი 4:6 ბუფალო**
*3:1 1:2 0:3*
0:1 კონოლი (6), 1:1 კლაიმერი (8), 2:1 ოვეჩკინი (20), 3:1 ჰელპერნი (20), 3:2 ბრიარი (24), 3:3 ბრიარი (26), 4:3 კლაიმერი (40), 4:4 როი (54), 4:5 კოტალიკი (59), 4:6 აფინოგენოვი (60)

**ტორონტო 5:4 ბოსტონი**
*1:2 3:2 0:0 0:0 1:0*
*ბულიტების სერიაში*
0:1 რიზონერი (6), 1:1 სუნდინი (16), 1:2 შტურმი (16), 1:3 შტურმი (21), 2:3 ელისონი (28), 2:4 პიურე (33), 3:4 სუნდინი (36), 4:4 მაკეიბი (36), 5:4 გადამწყვეტი ბულიტი: ტაკერი

**ოტავა 4:3 ტამპა**
*1:1 1:2 2:0*
0:1 ლეკავალიე (3), 1:1 ნილი (5), 1:2 ლეკავალიე (25), 1:3 აფანასენკოვი (26), 2:3 მესაროში (40), 3:3 ჰიტლი (45), 4:3 ალფრედსონი (60)

**ნეშვილი 5:0 ვანკუვერი**
*1:0 2:0 2:0*
1:0 ჰამჰიუსი (4), 2:0 ტუტუ (29), 3:0 აპშოლი (36), 4:0 სმიტსონი (49), 5:0 ჰარტნელი (51)

**მინესოტა 1:2 ედმონტონი**
*0:1 0:1 1:0*
0:1 პრონგერი (9), 0:2 რ. სმიტი (28), 1:2 ფოსტერი (43)

**ლოს ანჯელესი 2:6 ფინიქსი**
*1:3 0:1 1:2*
1:0 კოუენი (5), 1:1 დოუნი (9), 1:2 საპრიკინი (10), 1:3 დევერო (10), 1:4 რიჩი (27), 1:5 სენდერსონი (42), 1:6 სკაჩარდი (48), 2:6 რობიტაილი (55)

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 65 | 44 | 15 | 6 | 246:202 | 94 |
| ოტავა | 64 | 44 | 15 | 5 | 256:155 | 93 |
| რეინჯერსი | 65 | 36 | 19 | 10 | 204:159 | 82 |
| ბუფალო | 64 | 43 | 16 | 5 | 226:184 | 91 |
| ფილადელფია | 65 | 35 | 20 | 10 | 213:212 | 80 |
| ნიუ ჯერსი | 65 | 33 | 24 | 8 | 185:188 | 74 |
| ტამპა | 66 | 34 | 28 | 4 | 200:208 | 72 |
| მონრეალი | 64 | 31 | 24 | 9 | 184:197 | 71 |
| ატლანტა | 65 | 31 | 28 | 6 | 214:220 | 68 |
| აილენდერსი | 64 | 31 | 29 | 4 | 190:218 | 66 |
| ტორონტო | 63 | 29 | 28 | 6 | 196:212 | 64 |
| ფლორიდა | 64 | 26 | 29 | 9 | 182:198 | 61 |
| ბოსტონი | 65 | 25 | 30 | 10 | 181:204 | 60 |
| ვაშინგტონი | 64 | 22 | 35 | 6 | 184:250 | 51 |
| პიტსბურგი | 65 | 16 | 37 | 12 | 188:261 | 44 |

NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL

**დასავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 64 | 44 | 15 | 5 | 238:165 | 93 |
| დალასი | 65 | 43 | 19 | 3 | 216:174 | 89 |
| კალგარი | 64 | 37 | 20 | 7 | 166:156 | 81 |
| ნეშვილი | 65 | 38 | 19 | 8 | 201:183 | 84 |
| კოლორადო | 67 | 37 | 24 | 6 | 234:205 | 80 |
| ლოს ანჯელესი | 66 | 36 | 25 | 5 | 220:218 | 77 |
| ვანკუვერი | 67 | 35 | 26 | 6 | 212:206 | 76 |
| ედმონტონი | 66 | 33 | 23 | 10 | 213:212 | 76 |
| ანაჰაიმი | 63 | 31 | 20 | 12 | 189:175 | 74 |
| სან ხოსე | 63 | 31 | 23 | 9 | 197:189 | 71 |
| მინესოტა | 67 | 31 | 29 | 7 | 195:177 | 69 |
| ფინიქსი | 65 | 29 | 32 | 4 | 194:218 | 62 |
| კოლუმბუსი | 65 | 26 | 36 | 3 | 164:228 | 55 |
| სენტ ლუისი | 63 | 20 | 32 | 11 | 169:223 | 51 |
| ჩიკაგო | 64 | 20 | 35 | 9 | 165:225 | 49 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*



კაროლინელმა ფრანტიშეკ კაბერლემ რეინჯერსელი ჯედ ორტმეიერი ჩააჩოქბჯენა



## ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი



ქსავიე მალისი

კაცები. საპრიზო 3 169 600 $

**მესამე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ოლივიე როხუსი (30, ბელგია) 3:6 6:2 7:5; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — მარდი ფიში (აშშ) 6:1 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (6, ხორვატია) — გაელ მონფი (27, საფრანგეთი) 6:3 6:2; **მარკო ბაღდატისი** (25, კვიპროსი) — გასტონ გაუდიო (7, არგენტინა) 6:7(5:7) 6:3 6:2; **ტომას ბერდიჩი** (23, ჩეხეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (9, ავსტრალი) 7:5 6:3; **რიშარ გასკე** (16, საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (19, სლოვაკეთი) 6:3 6:3; **სებასტიან გროჟანი** (20, საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:4 7:6(10:12) 6:2; **მარიო ანჩიჩი** (21, ხორვატია) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 7:6(7:5) 6:2

ქალები. საპრიზო 2 100 000 $

**მეოთხე წრე**

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — აი სუგიამა (14, იაპონია) 6:2 6:1; **მარტინა ჰინგისი** (19, შვეიცარია) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:3 1:6 6:2; **მარია შარაპოვა** (3, რუსეთი) — შენაი პერი (აშშ) 7:6(7:2) 6:1; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ნა ლი (ჩინეთი) 6:3 6:2; **დინარა საფინა** (10, რუსეთი) — ანასტასია მისკინა (5, რუსეთი) 6:1 6:3; **ანა-ლენა გრონეფილდი** (7, გერმანია) — მარეტ ანი (ესტონეთი) 6:1 6:4; **ანა ივანოვიჩი** (8, სერბეთი) — ანა ჩაკვეტაძე (22, რუსეთი) 6:3 6:3; **გისელა დულკო** (არგენტინა) — ემა ლაინი (ფინეთი) 7:5 7:6(7:3)



ანასტასია მისკინა



# თურმანიძე საკონტროლოს ელის

**ტაშკენტში** ჩატარებულ მსოფლიოს ოქროს ლიგას და ბათუმურ საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს ჭიდაობის ფედერაციამ გუშინ პრესკონფერენცია მიუძღვნა. კაფე „მსოფლიოს სპორტში" ფედერაციის ჩინოსნებთან ერთად თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცი ზაზა თურმანიძე და უზბეკეთიდან ვერცხლის მედლებით დაბრუნებული გელა საღირაშვილი, რევაზ მინდორაშვილი და ლექსო მოდებაძეც მოვიდნენ.

მოჭიდავეთათვის გაზაფხულზე უმთავრესი ტურნირი 25-30 აპრილს მოსკოვში ჩატარებელი ევროპის ჩემპიონატია. მოსამზადებელი ეტაპი თავისუფლებმაც და ბერძნ-რომაელებმაც ბაკურიანული შეკრებებით დაიწყეს. წინ ორ-ორი ბორჯომული შეკრება აქვთ. იქამდე კი საერთაშორისო შეჯიბრები ჩასვეს, სამოსკოვე შემადგენლობა რომ გამოკვეთონ.

თურმანიძის შეგირდებმა ევრორეპეტიცია უკვე გაიარეს და საკმაოდ წარმატებულადაც, თუმც მწვრთნელმა ნაკრებში ადგილგანაღდებულთა ვინაობის გამხელა მაინც არ იჩქარა:

„რამდენიმე კაცი საგზურთან ძალიან ახლოსაა. უკვე საერთო მონახაზიც გავაკეთეთ, მაგრამ ბოლო შეკრებამდე ალბათ მაინც არ დავაკონკრეტებთ. შვიდეული ბორჯომის შეკრებაზე გაირკვევა. აუცილებლად გვექნება საკონტროლო შეხვედრებიც. საერაშორისო ხალიჩაზე კი მოსკოვამდე აღარ გავალთ.

... ტაშკენტის ტურნირზე ოცამდე ქვეყნის ნაკრები გამოვიდა. არც ისე ბევრია, მაგრამ მთავარი ხარისხია და არა რაოდენობა. უძლიერესი შემადგენლობა შეიკრიბა, გამოსვლით მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი დავრჩი. სიმართლე გითხრათ, მედლებს არც კი ველოდი. ამ ეტაპზე ჩვენთვის აუცილებელი იყო, სატურნირო გამოცდილება მიგვეღო, თორემ საუკეთესო ფორმამდე ჯერ არც ერთი არ მისულა. ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ციკლში გეგმაზომიერად, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ წინ და ტაშკენტამდე მხოლოდ ფიზმომზადება გავიარეთ. ტექნიკაზე შემდეგ შეკრებებზე უნდა ვიმუშავოთ."

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა შეაჯამა:

„ბოლო წლებში შიდა ტურნირები სულ თბილისში ტარდებოდა. ახალმა ინიციატივამ გაამართლა. ბათუმში მშვენიერი შეჯიბრი გამოვიდა. ამ ჩემპიონატით ნაკრების ბირთვი გამოიკვეთა. ახალგაზრდებს ივნისში ევროპის ჩემპიონატი ელით, ხოლო აგვისტოში — მსოფლიო."

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მინუს სამი



კოკაიმ (მარჯვნივ) ბულგარელ კოტოოსიუსთან მეხუთედ წააგო

**მარტის** ბაშოს მეოთხე ტურმა ლიდერთა შვიდკაცა სია ხუთამდე შეამცირა. იმერატორის თასს უდანაკარგოდ იოკოძუნა ასასიორუ, ოძეკი ტიოტაიკაი, სეკივაკე ხაკუხო და რიგითი მაეგაშირები ვაკანოსატო და ტოჩინონადა უტევენ. კვინტეტს ზურგს თითომარცხიანი სამი დიდკაცი უმშვენებს. სამწუხაროდ, მათ შორისაა ბულგარელი კოტოოსიუ. ბალკანელ გულივერს მესამე ტურის შემდეგაც ერთი წაგება ჰქონდა და თუ გვახსოვს, რომ მეოთხეში ჩვენებურ კოკაის ხვდებოდა, შეხვედრის შედეგსაც ადვილად გამოვიცნობთ.

კოტოოსიუ და კოკაი ერთად გადაეშვნენ ხალიჩიდან მაყურებლებში, მაგრამ ილეთი ბულგარელის წამოწყებული იყო. მანვე დაასრულა და გამარჯვებაც მან ჩაიწერა. ქართველის ანგარიშზე კი ერთი მოგება და უკვე სამი წაგებაა.

დღეს ლევან ცაგურიას მორიგი მძიმე ბრძოლა ელის. მისი მეტოქე კოტოოსიუს მსგავსად მხოლოდ ერთხელ დამარცხებული ოძეკი ტოჩიაძუმაა. კარგს ვერც სტატისტიკა გვეუბნება. კოკაი და ტოჩიაძუმა ოსაკამდე ერთმანეთს ცხრაჯერ დასჭიდებიან და ჩვენებური რვაჯერ დამარცხებულა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## უეფას თასი 2005-06
## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

ჰამბურგი (გერმანია) 3:1 *რაპიდი* (რუმინეთი) (0:2)
1:0 ლაუტი (24), 2:0 ბარბარესი (36), 2:1 ბუგა (51), 3:1 ვან დერ ვაარტი (63)

რომა (იტალია) 2:1 *მიდლსბრო* (ინგლისი) (0:1)
0:1 ჰასელბაინკი (32), 1:1, 2:1 მანსინი (43, 663)

*სევილია* (ესპანეთი) 2:0 ლილი (საფრანგეთი) (0:1)
1:0 კანუტი (29), 2:0 ფაბიანო (45)



ჰამბურგი — რაპიდი. ნაოჰირო ტაკაჰარას (შუაში) და მის თანაგუნდელებს ბუქარესტელებთან სამი გოლი არ ეყოთ

## დღეს

შალკე (გერმანია) — პალერმო (იტალია) (0:1)
სტრასბური (საფრანგეთი) — ბაზელი (შვეიცარია) (0:2)
ბეტისი (ესპანეთი) — სტიაუა (რუმინეთი) (0:0)
ლევსკი (ბულგარეთი) — უდინეზე (იტალია) (0:0)
ზენიტი (რუსეთი) — მარსელი (საფრანგეთი) (1:0)

### ინგლისი
პრემიერლიგა. გადადებული მატჩი
ლივერპული 5:1 ფულემი
პირველი ლიგა. გადადებული მატჩი
ოქსფორდი 1:0 ბრისტოლი
ასოციაციის თასი. მერვედფინალი
*ვესტ ჰემი* 2:1დ.დ. (1:1) ბოლტონი

### ესპანეთი
თასი. ნახევარფინალი
დეპორტივო 0:0 *ესპანიოლი*

### დანია
თასი. მეოთხედფინალი
ოდენსე 1:3 *ესბიერგი*

### პოლონეთი
თასი. ნახევარფინალი
პლოცკი 0:0 ლეხი

### სლოვენია
პირველი ლიგა. გადადებული მატჩი
დომჟალე 3:1 ნაფტა

### პორტუგალია
თასი. მეოთხედფინალი
*სეტუბალი* 2:1დ.დ. (1:1) ბოავიშტა
მარიტიმუ 1:2დ.დ. (1:1) *პორტუ*
აკადემიკა 0:2 *სპორტინგი*
ბენფიკა 0:1 *გიმარაეში*

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა. გადადებული მატჩები
ადმირა 0:0 რიდი
აუსტრია 2:1 გრაცერი

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩი
ბოლმი 0:3 ვადუცი
თასი. ნახევარფინალი
ვინტერთური 0:1 *სიონი*
ციურიხი 1:4 *იანგ ბოისი*

### უნგრეთი
თასი. მეოთხედფინალი
პეჩი 0:1 ვაშაში
კაპოშვარი 1:2 ვიდეოტონი
უიპეშტი 0:1 დებრეცენი

### რუსეთი
თასი. მერვედფინალი
კოსტრომა 0:3 *ცსკა*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლაკით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00